

კაპკასია

(LE CAUCASE)

დამოუკიდებელი ეროვნული აზრის ორგანო

L'adresse de l'administration : 73, rue Froidevaux, Paris (14^e).

№ 2-9

თებერვალი 1938

№ 2-9

შ ი ნ ა ა რ ს ი :

- შ. ამირეჯიბი — შოთა რუსთაველი.
- გ. დიასამიძე — ეროვნული მუშაობის გამზირი.
- ზ. ავალიშვილი — დამატებითი შენიშვნები „მაზრების გაცემაზე“.
- დ. საღირაშვილი — ჰარაიას სიმღერა.
- ს. ურუშაძე — ახირებული სოციალიზმი.
- შ. ბაქრაძე — ქაქუცას (ლექსი).
- ზ. ციციშვილი — ზაირა, ორ მოქმედებიანი ხევსურული დრამა 4 სურათით (დასასრული).
- *** — შოთა რუსთაველის იუბილე საქართველოში.
- *** — მენშევიკების ახალი მარცხი.
- *** — გენ. გ. კვინიტაძის ასულის ქორწილი.

შოთა რუსთაველი

რუსთაველი ცხოვრების ამოცანათა გენიოსი ამხსნელი იყო და თვით გახდა თავისი ერის დიდ ამოცანად. ვინ იყო ის და რომელ ხანაში სცხოვრობდა მიწვევით — დანამდვილებით არ ვიცით. მაგრამ, როდესაც მისი ვინაობა გამოირკვევა, გამოჩნდება ისიც თუ რა ცხოვრების, რა წყობის, რა გუმანის და სულის რა სვეტი ედგა კლასიკურ ქართველ ადამიანს რუსთაველის ხანაში.



რუსთაველის ლეგენდა — ფრიად ზერელე, როდის შექმნილია არავინ იცის რაზედ დაფუძნეული, მოგვითხრობს, რომ პოეტი თამარ მეფის თანამედროვე და მისი მიჯნური იყო და თავისი პოემაც მისთვის დასწერაო.

ეს ლეგენდა, შემდგომ დროებში მრავალ ვარიანტად დარბეული და გავრცობილი, ჩენს დროში, პოეტის მრავალ ბიოგრაფიად იქცა. საუკეთესო მათში მაინც პავლე ინგოროყვას კალამს ეკუთვნის. წიგნი საყურადღებოა. მაგრამ მთავარი საკითხი — მიაგნო თუ არა ავტორმა პოეტის ვინაობას, ბევრისათვის საკითხადვე დარჩა. ეჭვს გარეშეა, რომ ეს ლეგენდები არა შველიან და მხოლოდ აძნელებენ რუსთაველის ვინაობის გამოცნობას.

ცოტა რამ უნდა ითქვას თვით კვლევის მეთოდის თაობაზედაც. პოეტის ვინაობის მისაგნებად, იქნება უკეთესი ყოფილიყო, თავდაპირველად გამორკვეულიყო არა მართლა პოეტის ვინაობის საკითხი — ეს მეტად ნაადრევია ჯერ — არამედ როდის და რომელ წრეში დაიწერა პოემა, რომელსაც „ვეფხისტყაოსანი“ ჰქვიათ? საკითხის ასე დაყენების აუცილებლობა თვით პრობლემის სიძნელისაგან მომდინარეობს. არის ავტორი — რუსთაველი, რომელსაც ისტორიაში თავისი ალიბი არ დაუტოვებია და არის პოემა „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც მართალი, ისტორიის რალაცა ნაწილს უნდა შეიცავდეს.

რუსთაველის პოემა გვიჩვენებს, რომ პოეტი ჩაფლულია არა მარტო ზღაპრულ უცხო ხელმწიფეთა ამბავის ელვარებაში („ესე ამბავნი უცხონი, უცხოთა ხელმწიფეთანი“), არამედ რომელიღაც ნამდვილი მეფობის ბრწყინვალეების სხივებშიაც, რომელიც ქართველი უნდა იყოს, რომლის ახლო მდგომი ის არის და რომლის ამბავთა გამონაკრთომია პოემის ზოგი ერთი ეპიზოდი. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ პოემის შესავალში თამარი იხსენიება კიდევაც, ფრიად ცოტა მოსაზრება არსებობს ვიფიქროთ, რომ რუსთაველი სწორედ თამარის მეფობის მწერალი იყო. იმის პოემაში ქალების გამეფების ხანა შემდეგ დგება. ამ ამბავს წინ უსწრებს როსტევეანის და ფარსადანის მეფობა. მეფეთა ბრწყინვალეობა, მათი ბედნიერი მეფობა, მათ სამეფოთა ბედნიერება მოდის არა ასულთაგან, არამედ მათ მამათაგან. მეფეთა ასულნი რუსთაველის თხზულებების რომანიული ნაწილის არსებანი არიან. თუმცა ისინი პოეტის საყვარელი გმირები არიან, მაგრამ ჯერ ეს ამ ასულთა მამისერთობაა პოემაში ისტორიული საჭიროებით ჩართული ტენდენცია, მერე — პოემის მთავარი გმირები მაინც მამაკაცები არიან. პოემაში მამრობითი დასაწყისი ბატონობს. პოემის ბოლოშიაც მეფეებად ხდებიან არა მართლა თინათინი და ნესტანი, არამედ მათი ქმრები — ავთანდილი და ტარიელი.

ეს მამრობითი დასაწყისის უპირატესობა პოემაში იმისი ნიშანია, რომ პოემა დაწერილი უნდა იყოს კაცი - მეფის ბრძანებით და კაცი მეფის გულისათვის, ან მეფის ბრძანებით, მისი ასულის შესამკობად — („მიბრძანეს მათდა საქებრად თქმა ლექსებისა ტკბილისა.“). ხოლო რა-

კი, როგორც ითქვა, პოემაში თამარის სახელია ნახსენები; მეფე, რომლის ბრძანებით რუსთაველს თავისი პოემა უნდა დაეწერა, თამარის მამა, მეფე გიორგი მესამე უნდა იყოს.

ამ რიგად რუსთაველი გიორგი მესამის თანამედროვე მოსჩანს. პოემა დაწერილი უნდა იყოს გიორგის ბრძანებით და გიორგის მეფობაში, მაგრამ იმ წლებში, როცა გიორგი მესამემ თავისი ასული თამარ თანაიმეფა. პოეტი ამბობს:

„იყო არაბეთს როსტევან მეფე ღვთისაგან სვიანი,
მაღალი, უხვი, მდაბალი, ლაშქარ-მრავალი, ყმიანი,
მოსამართლე და მოწყალე, მორჩმული, განგებიანი,
თვით მეომარი უებრო, კვლა მოუბარი წყლიანი.“

ყველა ამ სიტყვაში მეფე გიორგი მესამე იგულისხმება და რუსთაველის ეს ტაეპი გიორგის მატეანის შედედებული ტექსტია. განსაკუთრებით აღსანიშნავია პოეტის ეს „თვით მეომარი უებრო“ როსტევან მეფე, რომელიც მატეანის „უებრო ჭაბუკს“ — მეფე გიორგის უდრის. საზოგადოთ უდრის ისტორიკოსის იმ ცნობას, რომ, თითქმის ყველა თავის ომში, მეფე გიორგი პირადათ იღებდა მონაწილეობას. ესევე უნდა ითქვას როსტევანის მეორე თვისებაზედ, რომ იგი „მოუბარი წყლიანი“ მეფე იყო. გიორგი მართლა ენა მჭევრი მეფე იყო. განსაკუთრებით უყვარდა ბრძოლის წინ თავის მოყმეთა ფიცხელი სიტყვით წახალისება. ერთი ასეთი მისი საომარი სიტყვა შემატეანეს ქრონიკაშია ცა აქვს მოყვანილი.

მსგავსება არსებობს აგრეთვე თინათინის და თამარის შორისაც. როსტევანს რომ „სხვა ძე არ ესვა“ და ჰყავდა „მართ ოდენ მარტო ასული“ თავისთავად თამარის მამისერთობას ამჟღავნებს.

პოემა გიორგის სიცოცხლეში უნდა იყოს დაწერილი, აგრეთვე იმიტომ, რომ მეფის ძისა თუ მეფის ასულის „სწორობაზედ“ მსჯელობა, პოემაში ტენდენციურად შეტანილი, განსაკუთრებით ცოცხალი გიორგისათვის იყო საჭირო, რათა უფლისწულ დემნას აჯანყებისა, მისი დასჯისა და უმემკვიდროდ დარჩენის შემდეგ, თავისი ერთადერთი ასულის ტახტზე აყვანის საქმე სხვებისთვისაც მისაღები გაეხადა.

ეს საქმე სწორედ ცოცხალი გიორგისთვის იყო საჭირო. როცა გიორგი მოკვდა და მისმა ასულმა საკუთარის შარავანდოვანობით განაგრძო მეფობა, ლაპარაკი იმის თაობაზედ თუ ვის მაგიერ ავიდა იგი საქართველოს ტახტზედ — ურგები და უკვე გვიანი საკითხი იყო. ჩვენ ისიც ვიცით აგრეთვე, რომ — „ძეობით“ ავიდა თამარი ტახტზედ თუ „ასულობით“, ჩახრუხადისთვის, რომელიც აგრეთვე თამარის მეხოტბე იყო, მაგრამ გიორგის შემდგომი მწერალი, არც არსებობდა. ეს საკითხი არ არსებობდა არც თამარის ისტორიკოსებისათვის. თამარი მათთვის, საზოგადოთ, ქალი და კაცი აღარ იყო, ის იყო „სამეებისაგან ოთ-

ხად თანა აღზავებული“ და „ღვთის სწორი“ არსება — „სიუხვით ზღვებრი, სიმაღლით ცებრი.“


მაგრამ ცოცხალი გიორგისათვის ეს საკითხი ყველაზედ მნიშვნელოვანი საკითხი იყო. ასულის თანაგამეფება გაუგონარი ამბავი იყო დანარჩენი საქართველოსთვისაც. მეფე ისე განუსჯელად მოექცა არა მარტო თავის ძმის წულს და ტახტის ერთად ერთ კანონიერ მემკვიდრეს, არამედ დინასტიის მომავალსაც, რომ დემნას მაგიერ თამარის მარტო ტახტზედ დასმა საკმაო არ იყო. საჭირო იყო ქვეშევრდომთა აღშფოთებული სინიღისის დაამება, ლომის ლეკვთა „სწორობის“ იღვის ქადაგება, კომპრომისის დასაბუთება, რომ ქალიც „მართ ღვთისა დანაბადია“. რიტორთა, ფილოსოფოსთა, ჭაბუკთა და მიჯნურთა ეპოქაში, როგორც გიორგის ეპოქა იყო, რუსთაველის ეს სენტენციები ურიგო პროპაგანდა არ იყო.

მაგრამ თინათინის და თამარის შორის სხვა მსგავსების გავლება უკვე საექვო ხდება. მამისაგან თანაგამეფებულ თამარს არავითარი ავთანდილი—მიჯნური არა ჰყავდა. ამაზედ უფრო ძნელი დასაჯერებელია ის ლეგენდა, რომ თამარის მიჯნური თვით რუსთაველი იყო.

გიორგი მესამეს მატთანეში ნაჩვენებია თარიღები, რომელთა შეჯერება საშუალებას იძლევა დაახლოვებით მაინც წარმოვიდგინოთ, თუ რამდენის წლისა იყო თამარ, როდესაც მამამ თანაიმეფა. დემნას აჯანყება და მისი მარცხი 1177 წელს მოხდა. მეფემ კი თავისი ასული მხოლოდ 1179 წელს თანაიმეფა. რა მიზეზით შეიცადა ეს ორი მღელვარე წელიწადი მეფემ, რომელსაც უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა ტახტის მემკვიდრედ თავისი ასული გამოეცხადებინა და, საზოგადოთ, ფრიად ჩქარობდა, რომ თავის ასულის მომავალი თავის სიცოცხლეშივე განემტკიცებინა, საგულისხმო ხდება. ივ. ჯავახიშვილი ამბობს, რომ მეფეთა ასულების სრულწლოვანობის ასაკი ძველ საქართველოში ცხოვრების მეცამეტე წელზედ დგებოდაო. მაშასადამე 1179 წელი, როცა მეფემ თავისი ასული თანაიმეფედ გამოაცხადა, თამარის მეცამეტე წელი უნდა იყოს. ძნელი წარმოსადგენია, რომ ასეთ ასაკში, ან თამარს ჰყოლოდა მიჯნური ან რუსთაველი ყოფილიყო მეფის ასულის მიჯნური, რომელიც ხნოვანობით, შესაძლებელია მამის კბილის კაცი უფრო იყო, ვიდრე ასულის.

ამ რიგად რუსთაველი არ იყო არც დედოფლის მიჯნური, როგორც ზოგსა სურს წარმოვიდგინოს ჩვენ, არც მით უმეტეს რომელიმე სექტის შეიხი, როგორც ჩვენ არა გვსურს რომ სხვას ეგონოს ასე, არამედ გიორგი მესამის ერთი მოყმეთაგანი და არიფი, მეომარი და ჰარმონიული გუნების კაცი, თავისი დროის ნამდვილი „ამადარი“, ფილოსოფოსი და „საწუთროს“ უებრო ექსპერტი, არა მარტო გენიოსი მგოსანი, არამედ სახელმწიფო ჭკუის კაცი, რომელიც თავის პატრონ მეფეს გასაჭირში გონივრულად დაეხმარა.

უფლის წულ დემნას აჯანყების დროს პოეტი, ეტყობა, მეფის დასის წევრი უნდა ყოფილიყო, მაგრამ არა ისეთი, რომელიც მეფის



ყველა საქციელს ამართლებდა. რუსთაველს, რომელიც ასეთის შეუდარებელის რწმენით აცხადებდა, რომ „ლეკვი ლომისა სწორია — ძუ იყოს თუნდა ხვადია“ო, შეუძლებელია არა სმენოდა, რომ „სწორობა“ თუ ახალი იდეა იყო, რომლის წინაშე მთელ სამეფოს თავი უნდა მოეხარა, ხვადების ხოცვა ძუების სადღეგრძელოდ ვერაფერი „სწორი“ იდეა იყო. მაგრამ მის წინაშე დიდი სახელმწიფო საკითხი იდგა. ის იყო სიტყვის ოსტატი და ფრაზის ხელოვანი—მბეჭავი, რომელშიაც ისე მოქუხდა აზრი, როგორც მდინარე თავის ბუნებრივ კალაპოტში. უნდა ვიფიქროთ, რომ მისმა ქადაგებამ ბევრი გაიტაცა, მოხიბლა და გარემოებასთან შეარიგა. მეფემ თავისი ასული თანაიმეფა და მისი ქვეშევრდომნიც თითქოს დასჯერდნენ ამას. მაგრამ თვით პოეტი სკეპტიკოსი დარჩა. თვისი პოემის ერთ ადგილას იგი ამბობს:

„... ვერვინ ვერას იქმს, თუ ეტლი არ მოსთმინდების,
 მით რაცა მინდა — არა მაქვს, რაცა მაქვს — არ მომინდების,
 ბინდის ფერია სოფელი, ესე თურ ამად ბინდების,
 კოკასა შიგან რაცა სდგას იგივე წარმოსდინდების“ო.

აქედან უნდა იყოს ის ჭმუნვაც, რომელიც მის პოემას თავიდგან ბოლომდის გასდევს.

ამის გამო, პოემის დაწერის დრო კ. კეკელიძეს მონღოლების შემოსევის ხანაში გადააქვს. მაგრამ სულ ადვილი წარმოსადგენია, რომ რუსთაველი გიორგის ხანაშიაც ყოფილიყო მჭმუნვარე. მარტო ერთი უფლისწულ დემნას ბოლო რადა ღირდა! შესაძლებელია აგრეთვე, რომ პოეტის სული აკლებული იყო იმ ომებით და აჯანყებებით, რომლებიც საქართველოს, მის დროში, ამდენი ჰქონდა.

მიუხედავად ამისა რუსთაველი მთელი თავისი სულით, ცხოვრების ალლოთი და მსოფლ-მხედველობით გიორგის ეპოქის კაცია.

წინა ხანების მონასტრულად გაზრდილი და სქოლასტურად განათლებული საქართველო ჭარბად და აშკარად ერისკაცულ კულტურას მხოლოდ გიორგი მესამის მეფობაში ეზიარა. ამას თანა სდევდა შინაური ბრძოლა და დასთა შებმა. მაგრამ გიორგის პირადმა ხასიათმა დიდათ შეუწყო ხელი, რომ ამ ბრძოლაში გამარჯვება ცხოვრების ახალ რიგს რგებოდა.

„ჭაბუკობის“ და „მიჯნურობის“ კულტი, — „გაქრაც“, უმთავრესად გიორგის ეპოქის კულტი იყო. „ჭაბუკი“ იყო თვით მეფე, რადგან მემატიანე მას აშკარად „უებრო ჭაბუკს“ უწოდებს. თავისუფალი იყო აგრეთვე მიჯნურობაშიაც, რადგან იმავე ისტორიკოსის სიტყვით გიორგის „რეცა სახელდებული შვილად მეფისა“ ასული თუ ასულები, თამარის გარდა და ქორწინების გარეშე, სხვაცა ჰყოლია.

საქართველოს მეფეთა კარს, დავით აღმაშენებლის დროს იმდენადვე სადას (მისი სადგომი წაღვლის - თავზედ, ქართლში!), რაოდენადაც თვით მეფე იყო დიდებული, გიორგის მეფობაში ბრწყინვალეა



შეუვიდა. მეფემ თავის ვაზირებს ოქროს არგნები დაურიგა და ამაღ-
 ნი ვერცხლში გახვია.

თუ როგორი იყო გიორგის ეს სამეფო კარი, ვისგან შესდგებოდა
 იგი და რა შეხედულობანი სუფევდნენ იქ, ამას ანდრონიკე კომნენის
 საქართველოში სტუმრობა უნდა გვიმჟღავნებდეს. საქართველოში ის
 მოვიდა (და მისი ჩამომავლობა სამუდამოთ დარჩა იქ) თავისი ცოლით
 და დიდძალის ნათესაობით. გიორგის ისტორიკოსი, რომელიც შეიძ-
 ლება ამ ამბავის ახალგაზრდა დამსწრე იყო და მისი ეშხი ბოლომდის
 ჰქონდა შენარჩუნებული, ერთ სიტყვასაც არა ჰხარჯავს იმის თაობა-
 ზედ თუ რა ცოდვიანის ბაგაჟით დამოგზაურობდა „დიდის მანუელ
 კეისრის“ ძმის წული ანდრონიკე.

ნამდვილად კი ანდრონიკე კომნენის იმ დროში საქართველოში
 სტუმრად მიღება დიდათ გაბედული ნაბიჯი იყო და ქართულ კონსე-
 რვატორულ წრეებისა და ეკლესიისათვის ვეებერთელა სკანდალიც.
 თუ ანდრონიკეზედ არ ითქმის, რომ ის იყო ადამიანი იმ საუკუნეში
 ყველაზედ უფრო ცოდვიანი, მხოლოდ იმისთვის, რომ მასზედ უფრო
 ცოდვიანი ეს მისი „სახებრწყინვალე და მშვენიერი“ ცოლი იყო, ანდ-
 რონიკეს ალალი ძმის წული და ისააკ კომნენის ასული, იერუსალიმის
 ფრანგი მეფის ბალდუინის ნაცოლარი — თეოდორა, ისეთივე ნათესა-
 ვი საქართველოს სამეფო სახლისა, როგორც ანდრონიკე. საქართვე-
 ლოშიაც იმიტომ მოვიდნენ, რომ ბიზანტიაში და ჯვაროსანთა სამთავ-
 როებში აღარ დაედგომებოდათ. ცერად უნდა შეხვედროდენ ზოგიერ-
 თები გიორგის კარზედაც, მაგრამ ანდრონიკე განთქმული იყო თავისი
 ჭაბუკობით და მეომრობით, თეოდორა — თავისი, მართლა, უნახავი
 სილამაზით, ხოლო ორივენი სიყვარულისა და მიჯნურობის გრძელი
 თავ- გადასავალით და გიორგის „ჭაბუკებს“ და „ლაშქართაგანებს“
 ესა ხიბლავდა.

მეფემ ანდრონიკეს და თეოდორას დარბაზობა გაუმართა და ითა-
 ყვანა: ტახტზედ იჯდა საქართველოს მეფე — „უებრო ჭაბუკი“, „მკ-
 ლავი აქილეველი“ და „გული მალნიტოვანი“, როგორც იხსენიებს მე-
 მატიანე — გიორგი მესამე, იმისი მეუღლე, დედოფალი ბურდუხან —
 ოვსთა მეფის ასული, რომლისა მსგავსი „სძალი არ უნახავს ქვეყანასა
 ქართლისა“, იქნება, ჯერ კიდევ სრულიად ნორჩი თამარიც — „მან-
 იაკი ყოველთა მეფეთა და ყოველთა ხელმწიფეთა“, მეფის და რუსუ-
 დანი, ერაყისა და ხვარასნის დედოფალი — „ყოვლითა სიბრძნითა სა-
 ვსე... ხვარასნისა და ერაყის სულთანთა სძლობითა გამეცნიერებული“
 ხოლო მათ წინაშე და „პირისპირ“ ერთმანეთისა, როგორც ამბობს
 მატიანე, ვითარცა თანასწორი ნათესავნი საქართველოს მეფისა, მამის
 დისწული მეფისა, შირვანის სულთანი აღსართან, ვისაც იმ დროში
 მთელი სპარსეთის პოეზია ჰყავდა შეხიზნული, დიდი რაინდი და სწორ-
 უპოვარი არშიყი ანდრონიკე კომნენი, შემდეგ ბიზანტიის კეისარი
 და კოსტანტინეპოლის ქუჩებში ბრბოსაგან უბედურად გაგლეჯილი

და იერუსალიმის დედოფალი, მშვენიერი თეოდორა სხვა უფლისწულთა ომნიებით.

მეფეთა, დედოფალთა და უფლისწულთა ეს იშვიათი კრებული, ტიტულებით, რომლებითაც ამდენ ერებს აერთებდნენ, ნათესაობით, რომელიც ამდენ სამეფო სახლს აკავშირებდა, გემოვნებითა და ჭკუით, რომლებიც იმ დროში ახლები იყვნენ და ბრწყინვალე ამალებით, რომლებიც იმ დროის საუკეთესო რაინდებს ითვლიდნენ — მთელ მაშინდელ კულტურულ წინა აზიას წარმოადგენდა. გიორგის საკმაო გემო ჰქონდა რომ ასეთი დარბაზობა გაემართა.

ის იყო ბრწყინვალე ქართველი ბატონი, თავისუფალი „მსოფლიო“ კაცი და ძლიერი პიროვნება, რომელიც თავის შეხედულობას და თავის ნებას თავის პირადი ხასიათის სიმტკიცეზედ ამყარებდა. მიუხედავად მისი მატთანის მტკიცებისა, თითქოს გიორგი მამას სიცოცხლეშივე აეყვანოს ტახტზედ, მისი მეფობის დასაწყისს ისეთი პირი უჩანს, რომ გიორგიმ უფლება მიხადა საქართველოს ტახტის კანონიერ შემკვიდრეთა მთელ სამთაობას: მამას, ძმას და ძმისწულს. ამან სამეფოში დიდი არეულობანი გამოიწვია. მაგრამ მისნა ხასიათმა მომხრენიც ბევრი უშოვა. აჯანყებულებს იარაღით გაუსწორდა, ეკლესიისა და სამართლის ხალხი იმით დაიყოლია, რომ აღმაშენებლის შვილის შვილი ისიც იყო, სხვებისათვის უხვი გული და ულევო საჭურჭლე ჰქონდა. მისი ლალი ხასიათი იყო რომ ქართული ჰუმანიზმის განვითარებას ჰქმნიდა. მისი ხანა საქართველოს ყველაზედ უფრო ლალი ხანა იყო, „ამად კარგი“, რომ ყველასთვის სარგო გამოდგა. მართებლობის მთავარი ხერხი „მეფეთა შიგან სიუხვე“ გახდა. მისი ეპოქის კაცი რუსთაველი ამბობდა:

ვარდთა და ნეხვთა ვინათგან მზე სწორედ მოეფინების,
დიდთა და წვრილთა წყალობა შენცა ნუ მოგეწყინების,
უხვი ახსნილსა დააბამს, იგი თვით ების ვინ ების,
უხვად გასცემდი, ზღვათაცა შესდის და გაედინების“ო.

ეს არ იყო არც პიროვნების თავისუფლების ქადაგება, რომელსაც მაშინ თავში არავინ იხლიდა, არც თანასწორობის იდეა საზოგადოებაში, რომელიც იმ დროს, პირიქით პატრონ ყმური იყო, არამედ მართებლობის ფრიად ადამიანური ხერხი და უფრო კი სოციალურ თავაზიანობის სწავლა, სწორედ ამ უსწორ-მასწორო პატრონ-ყმური საზოგადოებისათვის საჭირო. ერები რომ მხოლოდ „რეჟიმების“ გარეგებით სცხოვრობდნენ, რომელთა სიმკაცრეს ვერავითარი თავისუფალი კონსტიტუცია თავს ვერ აუდის, ცხოვრება მართლა აუტანელი გახდებოდა. ადამიანები სცხოვრობენ უფროის წილად გუნებით, (მონტესკიეს: კანონთა სული.) რომელიც იმ ქართულ საუკუნეში კარგი იყო. რუსთაველს უკვე მაშინ ესმოდა ეს აზრი.

დასასრულ, მეფე ახლო იდგა ხელოვნების, მწერლობის და განათლების ხალხთან.

იგი დიდი მშენებელი იყო. მისი ამ მშენებლობის ძეგლად ვარძია უნდა ჩაითვალოს. ასე ცოცხლად ჩასვლა მიწაში, როცა მას, მუდამ გამარჯვებულს და ძლიერს, თავს არავინ ესხმოდა და პირიქით, მისი ჯარი იყო რომ იძახდა: „არ არის ღონე დარჩენისა ჩვენისა — თვინიერ ლაშქრობისა და რბევისა“ო, მეფის უკვე მღვრიე ფანტაზიის მაჩვენებელია. ამ კლდე-ქალაქის შენება მეფემ თავის სიცოცხლის ბოლო წლებში დაიწყო, უკვე ცხოვრებით დაღლილმა და ცოდვებით დამძიმებულმა. იქნება მასა სურდა, რომ თავის შარავანდოვანი აულის ტახტზე განმტკიცების და განსაკუთრებით დაქორწინების შემდეგ, ამ კლდე - ქალაქში დაედო თავისი საბოლოო ბინა, რომ კლდეში გამოქრილ სარკმელიდგან საწუთროს ამოებისათვის ემზირა. როგორც ცნობილია, გიორგი ვარძიის აშენებაზედ ადრე მიიცვალა და კლდე-ქალაქის შენება მისმა ასულმა დაათავა.

მაგრამ ახალგაზრდობაში გიორგი სიცოცხლით სავსე და ამალღებული სტილის ადამიანი იყო. ერთი მისი საომარი სიტყვა, ჯარისადმი მიმართული, უფრო კი „ჭაბუკთათვის“ და „ლაშქართაგანებისათვის“ თქმული, ასე იწყობა: „ღომნო ჩემნო ფრთოვანნო!..“ გიორგის ეს „ფრთოვანი“, შავთელის — „სტოვანი“ და რუსთაველის ამგვარი სიტყვების მთელი ლექსიკონი, ერთი გრამატიკის, ერთი სტილის ხალხის ენა უნდა ყოფილიყო. ეს სწორედ გიორგი მესამე იყო, რომ თავისი ერთი გამარჯვება ანისის ომში, ქათალიკოსს და „ფილასოფოსებს“ საგანგებოდ გამოგზავნილი კაცის პირით ახარა.

სტეფანოს ორბელიანი მოგვითხრობს, რომ ლორეს ციხის შემოდგომის დროს, გიორგის ჯარისკაცები ორბის ფრთიან ისრებზედ შაირებს ახვევდნენ და ისე ისროდნენ უფლისწულ დემნას ბანაკში. ისრებს იჭიდგანაც შაირები მოჰქონდათ. ეს მოისრული შაირობა დემნასთვის, ორბელიანებისთვის და ბევრისთვის ცუდათ გათავდა. მაგრამ ცხადია, რომ საერო ქართული ვერსიფიკაცია გიორგის ამ ბანაკში წახალისდა. ჯარისკაცული შაიროვანი ლაზღანდარობა და სახიობა ძველ ქართულ ლაშქარში, თავში იქნება უკმეხიც, რის გამო აღმაშენებელმა ერთხელ კიდევაც აღკრძალა, დიმიტრი პირველის დროს ისევ ნებადართული და გაფაქიზებული, გიორგი მესამის დროს ქართული პოეზიის საუცხოო თაიგულად გადაიშალა. რუსთაველი, რომელმაც ომის რიგი ასე ზედმიწევნით იცის, გიორგის ამ ბანაკების კაცი უნდა ყოფილიყო.

თამარის თანაგამეფების შემდეგ, გიორგის ბევრი აღარ უცოცხლია. ის მოკვდა 1184 წელს, დაუტოვა რა თავისი ძლიერი სამეფო თავის ასულს, მღელვარე ვნებათა შორის, რომელთაც გიორგის მეფობაში თავი არ დაუღიათ. რა დაემართა ამის შემდეგ რუსთაველს — არავინ იცის, თუ ისევ ლეგენდას არ მივმართავთ, რომლის თქმით ის იერუსალიმში უნდა გადაცვლილიყოს. მაგრამ ჩვენთვის უცნობია არა მარტო. პროეტის ბოლო, არამედ საზოგადოთ მისი ვინაობაც, უმთავრესად იმ

მიზეზით, რომ რუსთაველი გიორგი მესამის მეფობის კაცი იყო, რომელზედაც, მრავალ მიზეზთა გამო, თამარის საჩინოდ სხვანაირ დროში, ბევრს არა ლაპარაკობდნენ. ესეც დროების სიბრძნე იყო. ასულმა იმეფა ბრწყინვალედ და შედარებით მშვიდობიანად, უმთავრესად იმ მიზეზით, რომ კარგი დამოკიდებულება ჰქონდა სწორედ იმ წრეებთან, რომლებთანაც მისი ცოცხალი მამა არასოდეს კარგად არ იყო.

შ. ამირეჯიბი

ეროვნული მუშაობის გამჭირი

დიდმა ომმა ისე შეარყია მსოფლიო, რომ აქამდინ ვერ დამშვიდებულა კაცობრიობა. ზავის ჩამოგდების შემდეგ უკმაყოფილებამ ხელახლა იჩინა თავი. ხდება ახალი გადაჯგუფება ძალთა, როგორც საერთაშორისო სფეროში, ისე შიგნით ცალკე სახელმწიფოებრივ ერთეულებში. ჩვენ გვევალება უსათუოდ თვალი ავახილოთ, მივიხედ-მოვიხედოთ და ავმოძრავდეთ. შეიძლება სულ მალე დაგვებადოს ისეთი მდგომარეობა, როგორიც იყო 1917—18 წ.წ. და რომელიც ხეირიანად ვერ გამოვიყენეთ. სწორედ ამ წამისათვის უნდა ვიყვეთ მზად. ამ ხანად ჩვენ ვხედავთ, რომ იტალია, გერმანია, იაპონია ჰუნგრეთი, ამ დღეებში თვით რუმინეთიც დაადგნენ გარკვეულ გზას, რომლის მიზანია სრული ეროვნულ-კულტურული აღორძინება და ეროვნულ პრინციპზე აგებულ სახელმწიფოს განმტკიცება. ასეთ პოზიციას გვიკარნახებს ჩვენც ახლანდელი საერთაშორისო და ჩვენი ერის საკუთარი მდგომარე-

შენიშვნა: — ამ ჩემი წერილის საფუძვლები ჩამოყალიბებულია გერმანიაში ახლანდელი წესრიგის დამყარების დასაწყისში ერთ გულმახვილ ქართველ ახალგაზრდა მამულიშვილის თაოსნობით გამართულ თათბირის დროს. აქამდინ საშუალება არ იყო ამის გამოსაქვეყნებლად. დაე ეს მცირე და სუსტი ნაფიქრი გახდეს საბაბი უფრო ფართო და საფუძვლიან გეგმის შემუშავებისა. თვით ჩვენი „გამჭირი“, როგორც მკითხველი თვითონაც დაასკვნის, არის განვითარება იმ ცხოველმყოფელ აზრთა, რომელთაც შეიცავს 1925 წელს 15 ივნისს გამოქვეყნებული „საქართველოს პატრიოტულ ახალგაზრდობა თეთრი გიორგის დამფუძნებელ კრების დეკლარაცია“. ეს დასახელებული მიმართვა მე მიმაჩნია დიდ მოვლენად ქართულ პოლიტიკურ აზრის განვითარებაში და გარდატეხადაც ჩვენი სახელმწიფოს აღორძინების საქმეში... მაგრამ ამაზედ სხვა დროს.

ავტორი.




ობა. ჩვენი მოქმედების გეგმა უნდა იყოს შეფარდებული თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკურ და ეკონომიურ პირობებთან. ლოზუნგები უნდა შევიმუშავოთ მკაფიო და მარტივი — რუსეთის პოლიტიკურ წყობილების მიხედვით ჩვენში პოლიტიკური მუშაობა სწარმოებდა, საუბედუროდ, მუდამ **პარტიულ** ნიადაგზე: დაეძებდნენ აქა თუ იქ მომხრეებს, რადაც კი უნდა დასჯდომოდათ, არ აინტერესებდათ, რა ღირსებისა იყო მოპოებული წევრი. ყურადღება მიქცეული ჰქონდა უმთავრესად რიცხვს, **რაოდენობას**. ჩნდებოდა დავა, შეცილება, ზოგჯერ პარტიულ, ზოგჯერაც პირადულ ნიადაგზე, უზენაესი მიზანი კი — ერის ინტერესები, ბედნიერება — განზე იყო მიგდებული. იმ დროს, როცა ქართველ ერს თავის ქვეყანაში უბედურება ადგია კარს, როცა მას ანადგურებს ყოველგვარი გაჭირება, როცა იქ ცხოვრების სულ პირველი, სულ უბრალო საკითხები გადაუწყვეტელი და მოუგვარებელია, ქართველობას **ყველგან** ჰმართებს გამსჭვალული იყოს **ერთის გრძნობით, ერთის აზრით**. შენება უნდა დავიწყოთ სულ სხვა-ნაირად. უნდა უკუვაგდოთ განყენებულ საგნებსა და აზრებზე თეორიული ბრძოლა — ეს არ უწყობს ხელს გაერთიანებას. ხშირად ეს ისეთი საკითხებია, რომელთაც არავითარი მნიშვნელობა არა აქვთ საქართველოსათვის. ამოა ცდა დოქტრინალურ გეგმების ცხოვრებაში გატარებისა. ხალხს ასეთ შემთხვევებში ყოველთვის იმედი უცრუვდება. ახლა ყველამ ვუწყით: ჩვენ ვერ გვიშველის კლასთა ბრძოლაზე დამყარებული სოციალიზმი. ამ უცხო იდეამ ჩვენ უკვე აღუნაზღაურებელი ზარალი მოგვაყენა. მუშაობის მეთოდი, ტაქტიკა თვით **ცხოვრების მიერ უნდა იყოს ნაჩვენები, ნაკარნახევი**. უნდა განვაგრძოთ **ორგანიული** კულტურული მუშაობა, არ უნდა ავცილდეთ ქართულ ნიადაგს, უნდა შევეუხმატკბილდეთ ჩვენს საამაყო წარსულს — ემ უკვდავების საკუთარ წყაროს. გაშმაგებით უნდა დავეწაფოთ მას. იგი შეგვმატებს ღონეს, აღმოგვიჩენს იმ ძალას, რომელიც ამოძრავებდა ჩვენი უკვდავი ერის ძველ მსახურთ — მამასახლისებს, ერისთავთ, სარდლებს და თვით მეფეებს. მეოცე საუკუნემ უნდა დაუმტკიცოს ყველას, რომ ღირსი ვყოფილვართ წარჩინებული წინაპრების. საერთო საქმიანობის უპირველესი მუხლი უნდა იყოს მშობელი ერის ცხოვრების ყოველმხრივი გაჯანსაღება: ფიზიკურ - ეკონომიური და ზნეობრივ სარწმუნოებრივი. უნდა მოუაროთ ჩვენი გაკულტუროსნების დიად ფაქტორს — ეროვნულ ეკლესიას, თანაც მფარველობა გაუწიოთ ყველა სხვა სარწმუნოებას. განვილო ცხოვრებიდან უნდა ამოვკრიბოთ სხვა და სხვა გარდმოცემა-ტრადიცია, გავაცოცხლოთ ხალხში დარჩენილი ნაირ-ნაირი ზნე ჩვეულება, რომელიც ეგუება ჩვენი ერის ხასიათს და წინსვლას ხელს შეუწყობს. ამ მხრივ აღსადგენია ჩვენი ძველი გმირული ლექს-სიმღერები, ძველივე როკვა-თამაში, მუსიკა, ძველი საკრავები, ძველებური ტანისამოსი, ჩაცმა დახურულობა. ყველა ეს აძლევს ხალხს ცხოველმყოფელ თავისებურობას და აძლიერებს მის ეროვნულ ელფერს ნაირ-ნაირ შეფერადებით. ჩვენი ისედაც მდიდარი ხალხოსნური ნიადაგი ყოველმხრივ

უნდა გავაპოხიროთ და დავრგოთ მასზე ისეთი უცხო იდეები, რომელიც ჩვენს ეროვნულ ზრდასა და წარმატებას მოუხდება. უნდა გავაძლიეროთ წინაპართა კულტი, რაც უეჭველად დაგვაკავშირებს ჩვენს უძველეს ერთგვარეულობასთან. ნივთიერი და გონებრივი საუნჯენი, ჩვენ მიერ მრავალ საუკუნეთა განმავლობაში შექმნილი, ჩვენამდის მოღწეული გვიმტკიცებს ჩვენი ხალხის დიდ ნიჭს, გამძლეობას და ცხოველმყოფელ შემოქმედებას. ამ უამად, ჩვენი მოვალეობაა გამოვძებნოთ ცოცხალი ძალები, გამოვადვიძოთ და ავამოქმედოთ. უამათოდ შევიქმნებით არა ორგანიული ნაწილი ჩვენი ისტორიისა. ხელახლა დაბადებულმა ახალგაზრდობამ მედგრად უნდა მიგვიყვანოს ახალ გამარჯვებამდე. იგი უნდა იყოს მჭიდრო დისციპლინით შეკავშირებული. მან უნდა გაამეფოს შრომის თაყვანისცემა. თავის ღირსეული ქცევით და მუშაობით მან უნდა შეგვიძინოს ბლომად თანამგრძობნი ყველა ქვეყნებში. უცხოეთში ნამუშევარი უნდა შეემატოს მრავალ წელთა განმავლობაში ჩვენს ქვეყანაში გაკეთებულს. ჩვენ მოგველის რა თქმა უნდა მსხვერპლის გაღება. ყოველი დიადი საქმე უამისოდ შეუძლებელია. ვისაც ასეთი მსხვერპლის მოტანის უნარი და სურვილი არა აქვს, ის არც ივარგებს მეგრძოლთა მწყობრში. ყველას ერთი მაჯის ცემა უნდა ამოძრავებდეს. რაინდთა რაზმების შექმნისათვის ახალგაზრდობამ თავის მსოფლმხედველობიდან უსათუოდ უნდა განდევნოს „ჩვენთვის უცხო მატერიალისტური აზროვნება, გამხრწნელი ეროვნული სულისა.

დროა შესდგეს სულ ახალი, უფრო ნაყოფიერი შეხედულება მსოფლიოსა და სახელმწიფოზე. საჭიროა ძირიან ფესვიანად გარდიქმნას ხალხის საერთო ცხოვრება. ახალგაზრდობამ მაინც უნდა განახორციელოს შორსმჭვრეტელ მამულიშვილთა დიდი ხნის ნატვრა: **ერთი ერი ერთი პარტია!**

ხალხის ეკონომიურ გაჯანსაღებაზე ზრუნვის დროს ახალგაზრდობამ უწინარეს ყოვლისა უნდა გაამაგროს ცხოვრების უმთავრესი პრინციპი — **კერძო საკუთრება** — ქვაკუთხედი ჩვენი ეროვნული აღორძინებისა. ემ ბუნებრივი წესის ლალატმა უკვე დაანახვა ყველას თავის საზარელი შედეგი. ამავე დროს მან უნდა გაუწიოს ანგარიში ხალხის აზროვნება - ფსიქოლოგიაში მომხდარ ცვლილებას: სრული რესტავრაცია ყოფილის შეუძლებელია და არც სანატრელი. მიწა უნდა დაესაკუთროს მხოლოდ მიწის მომქმედს, სოფლის მეურნეობის ასაყვავებლად. მრეწველობის გაძლიერებაზე ზრუნვის დროს ახალგაზრდობა უნდა იყოს მომხრე ზოგიერთ დიდ მეურნეობის განსაზოგადოებისა ანუ ნაციონალიზაციისა, როგორც, მაგ. რკინის გზის, ფოსტის, ნავთის, შავი ქვის და სხვათა მადანთა. სწავლა-განათლების და ზნეობა-სარწმუნოების განწესრიგების დროს ახალგაზრდობა, რასაკვირველია გამოიყენებს, როგორც ჩვენს წინანდელ განცდილს, ისე სხვა ქვეყნების გამოცდილებას. რა თქმა უნდა იგივე დიდ მფარველობას გაუწევს მშობლიურ მწერლობას, ჯერ კიდევ ქრისტიანობამდე დაწყებულს, რათა შემოქმედების მეტი ნაყოფიერება გამოაჩენინოს. განსაკუთრებული ყურადღება



უნდა მიაქციოს მან ხალხის გამრავლების საკითხს, დაბადებათა რიცხვის გაძლიერების და სწეულებათა აღმოკვეთის საშუალებათა გამოძებნით. არავინ უნდა დარჩეს სამუშაოს გარეშე. ყოველ მოქალაქეს თანაბარ უფლების მინიჭებისთანავე უნდა დაეკისროს ვალდებულება — შექქმნას კულტურულ - ნივთიერი ღირებულება. ერის ინტერესების დამრღვეველს და მავნებელს უნდა გამოეცხადოს სასტიკი ბრძოლა.

ყველა ამის განხორციელებისათვის აუცილებლად საჭიროა შეიქმნას მაღალ ზნეობრივი ავტორიტეტული ხელმძღვანელობა, რომელიც იტვირთებს ყველაფრის მოწესრიგებას და საერთო საქმის წინ წაწევას. მაგრამ ჩვენი საკუთარი ბედნიერებისათვის არ არის საკმაო მარტო ჩვენი წარმატება. საჭიროა ჩვენი კავკასიელ მეზობლების ეროვნული აღორძინებაც, რასაც ყოველ მხრივ ხელი უნდა შეეწყოს. ჩვენი და ჩვენი მეზობლების ბედი დიდი ხნიდანვე ერთი ერთმანეთზე ჰკიდია. ვერც ერთი მათგანი უმეზობლოდ ვერ იხეირებს. ამიტომაც უნდა შეიქმნას კავკასიის ერთი სახელმწიფო, რომლის წევრებად იქნებიან: ჩრდილო კავკასია, საქართველო, აზერბეიჯანი და სომხეთი. თვით ფორმა, სახე კავკასიელ ერთა სახელმწიფოებრივი შეერთებისა ბევრს უკვე გამორკვეული აქვს, ხოლო საბოლოოდ გადაწყდება ადგილობრივ საერთო ბჭობით და თანხმობით. სიტყვა უკვე ბევრი წარმოითქვა. ეხლა საქმემ უნდა გამოაჩინოს ეროვნული სიმწიფე და შორსმჭვრეტელობა, როგორც ჩვენი ქართველებისა, ისე დანარჩენ ყველა კავკასიელ ერთა.

გრიგოლ დიასამიძე

ღამატაბითი უნიუზვნები „მაზრების გაცემაზე“

4 ივნისს 1918 წელს საქართველოს სახელით ბ. ბ. ნ. რამიშვილი, გ. გვაზავამ, გ. რცხილაძემ და ოდიშელიძემ ხელი მოაწერეს ქ. ბათუმში ხელშეკრულებას, რომლის ძალით ოსმალეთს უთმობდნენ: ბათუმს, ართვინს, არტაანს, ახალციხეს და ახალქალაქსაც მაზრებითურთ. ამის თაობაზედ „დამოუკიდებელი საქართველოს“ მოწინავე წერილში (იანვარი 1938, გვ. 3) ვკითხულობთ:

„ბათუმის აქტი, ისე როგორც ბრესტ - ლიტოვსკის აქტი, ვერსალის აქტმა გააუქმა; საქართველო, როგორც სხვა ბევრი სახელმწიფო, თავის ტერიტორიალურ უფლებაში, ე. ი. 1914 წლის საზღვრებში აღდგენილ იქმნა და მხოლოდ ამის შემდეგ ხელმეორედ (პირველად 1918 წ. ხელმეორედ 21წ. ზ. ა.) გასცა ვერაგმა მოსკოვმა, თავის ნებით და არა ულტიმატუმით, საქართველოს პროვინციები“.

ვერსალის 28 ივნისის 1919 წ. აქტი ბათუმის 4 ივნისის 1918-ს აქტს ვერ გააუქმებდა, და არც ბრესტ - ლიტოვსკის აქტი გააუქმა, რამდენათაც ეს უკანასკნელი ეხებოდა ოსმალეთს, ვინაიდან ვერსალის

ზავი გერმანიასთან და არა ოსმალეთთან იყო დადებული. ეს ვგონებ ყველასათვის ადვილი გასაგები უნდა იყოს. ამისათვის შემცდარი ბრძანდება ვინც ფიქრობს, რომ ვერსალის ტრაქტატით საქართველო „1914 წლის საზღვრებში (?) აღდგენილ იქმნა“ — იგულისხმება ალბათ ოსმალეთთან საზღვარი — ისიც „როგორც სხვა ბევრი სახელმწიფო“ (რომელი „ბევრი სახელმწიფო“ ჰყავს სახეში დამწერს, არ ვიცი)

ოსმალეთს ეხებოდა ჯერ მუდროსის დაზავების კონვენცია 30 ოქტ. 1918წ. მერე სევრის ხელშეკრულება 1920წ. და ბოლოს ლოზანის ტრაქტატი 1923 წ. ეს უკანასკნელი დადგენილია საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, ხოლო პირველ ორ აქტზე, რაც საჭიროა, მოხსენებულია ჩემს წერილებში „კავკაზში“. ვისაც საკითხი აინტერესებს და რომელიმე მიზეზით უძნელდება საერთაშორისო საბუთების წაკითხვა, ის ამ წერილებიდანაც გაიგებდა, თუ კი აქამდისაც არ იცის რას აღგენდა სევრის ტრაქტატი საქართველოს საზღვრების თაობაზედ.

„დამოუკიდებელი საქართველოს“ იმავე ნომერში, ბ. გ. გვაზავას წერილში სათაურით: „ვინ გასცა საქართველოს მიწა-წყალი?!“ ვკითხულობთ (გვ. 8):

...„სევრის ხელშეკრულება განგებ ღიად ტოვებდა ოსმალეთის საზღვრების საკითხს საქართველოს მიმართულებით, ე. ი. ჩუმად ამტკიცებდა იმ საზღვრებს, რომელიც მაშინ ჰქონდა საქართველოს“.

სევრის ტრაქტატი „საქართველოს მიმართულებით“ ჰქმნიდა ვრცელ სომხეთს. ტრაპიზონი, ერზერუმი, ყარსი ხომ სომხეთში იქნებოდნენ, და ამ პირობებში როგორ შეეძლო ოსმალეთს საერთო საზღვარი ჰქონოდა საქართველოსთან? სევრის აქტი „ღიად ტოვებდა“ არა ოსმალეთ - საქართველოს, არამედ საქართველოს და სომხეთის საზღვარს. ეს უკანასკნელი უნდა დადგენილიყო ამ ორი რესპუბლიკის თავისუფალი შეთანხმებით — რაც სამწუხაროდ არ მოხდა. ოსმალეთს და სომხეთს შორის საზღვარი კი შეერთებული შტატების პრეზიდენტს უნდა დაედო არბიტრაჟით. მაშასადამე სევრის აქტი რომ „ჩუმად ამტკიცებდა“ საქართველოს 1920 წლის საზღვრებს, ეს ფანტაზიის დარგს ეკუთვნის.

მაგრამ გამოსარკვევი იყო ართვინის და არტაანის საკითხი, საქართველო - თურქეთის ურთიერთობაში, არა 1918—20 წლებში, არამედ დამოუკიდებელ საქართველოს დაცემის ხანაში. ვინ დაუთმო ოსმალეთს ეს პროვინციები? ასეა დასმული საკითხი. რომ ეს საბჭოებმა ჰქნეს ჯერ 1918 წ. ბრესტის ზავით, მერე 1921 წ. მოსკოვის და ბოლოს ყარსის აქტებით, ეს ყველამ იცის, მაგრამ როგორი იყო დამოუკიდებელი საქართველოს ყოფილი მთავრობის პოზიცია?

აქ საჭიროდ ვრაცხ იმ ცნობებს თურქეთის ეგრედ წოდებული „ეროვნული პაქტის“ შესახებ, რომელნიც მოთავსებულია ჩემ ნაწერში: „სან სტეფანოთგან ბათუმამდე, 1878 — 1921“, რუსული „კავკაზ“ ის ამ წლის პირველ ნომერში, დავუმატო საქმის ვითარების თურქული ვერსია. ოფიციალურად ჩაითვლება, დამყარებულია მათ საბ.



უთებზე და გამოქვეყნებულია საპროპაგანდო დიდ შრომაში: **თურქეთის რესპუბლიკის ისტორია**. რომელიც გამოცემულია თურქული ისტორიო საზოგადოების მიერ, რომლის საპატიო თავმჯდომარე — ათათურქია. და, ვიმეორებ, მასში იხატება იქაური ახალი რეჟიმის აზრი. 1935 წ. ფრანგულ თარგმანში ვკითხულობთ (გვერდი 71 — 72) სომხეთის წინააღმდეგ 1920 წ. დაწყებულ ლაშქრობაზე. (წ-ის სათაური: **გამარჯვება სომხებზე ჩრდილოეთ აღმოსავლეთის ფრონტზე. ამ გამარჯვების შედეგები**.) რომ სომხები იერიშით მივიდნენო ოლთისში მყოფ თურქებზე; მაშინ თურქეთის „დიდი ეროვნული კრების“ მთავრობამ ულტიმატუმით მიმართა სომხეთსო. ეს იყო 7 ივლისს 1920 წ. ამის შემდეგ ლაშქრობაც დაიწყო, 28 სექტემბერს. ყარსი დაიპყრეს 30 ოქტომბერს, გუმბრი-ალექსანდროპოლი 7 ნოემბერს 1920. გუმბრის ტრაქტატზე ხელი მოაწერეს 3 დეკემბერსო. მერე მოდის შემდეგი:

„დამარცხდა რა სომხეთის არმია, ოსმალთ ჯარები კავკასიაში შეიჭრენ და საქართველოსთან კონტაქტი დაიჭირეს. იმავე წლის (ე. ი. 1920წ.) ივლისის განმავლობაში ინგლისელებმა ბათუმის ევაკუაცია მოახდინეს, რის შემდეგ ქართველებმა, ამტკიცებდნენ რა ამ ქალაქზე თავიანთ უფლებას, მყისვე იქ ჯარები გაგზანეს. ვინაიდან ეს საქციელი ეწინააღმდეგებოდა პირობებს ბრესტ - ლიტოვსკის ზავისა, დადგენილს, სანამ დიდი ომი გათავდებოდა, ოსმანთა იმპერიას და საბჭოთა რესპუბლიკას შორის, და აგრეთვე ტრაპიზონის ხელშეკრულების პირობებსაც, ოსმანთ იმპერიას და ქართველებს შორის დადებულს, დიდი ეროვნული კრების მთავრობამ პროტესტი განაცხადა საქართველოს მთავრობის წინაშე და მოითხოვა რათა ეს ჯარები გაეყვანათ იმ ოლქითგან. ბოლოს, შედეგად მოლაპარაკებისა ელჩთან, რომელიც ქართველებს ანკარაში ჰყავდათ, ესენი მოვალენი შეიქმნენ იმაზე დათანხმებულიყვნენ, რომ არტაანი, ართვინი და ბათუმი თურქთა მმართველობას დამორჩილებოდა. ამ ოლქების პატრიოტი მოსახლეობა, რომელიც მოუთმენლად მოელოდა მათ შემოერთებას ოსმალეთთან, თურქის ჯარს ზეიმით შეხვდა (მარტი 1921წ.). და თუმცა ბათუმი მოსკოვის ტრაქტატის ძალით (16 მარტის 1921წ.) საქართველოს დარჩა, შემდგომად ამ ქვეყნის შესვლისა საბჭოთა რესპუბლიკების კავშირში, არტაანი და ართვინი პირიქით თურქეთს შემოუერთდნენ.“

აქ უმიზეზოდ დასახელებულია ტრაპიზონის აქტი, ნაცვლად ბათუმისა და სხვა უმნიშვნელო შეცდომაც მოიპოვება. ხოლო ყურადღებას იპყრობს ის ჩვენება, რომელიც ეხება საქართველოს ელჩს (იგულისხმება განსვენებული სიმონ მდივანი.) და ანკარას შორის წარმოებული მოლაპარაკება და საქართველოს მაშინდელი მთავრობის მიერ ამ პროვინციების დათმობა.

რამდენად სწორია ეს? ნუ თუ ამ ოფიციალური ისტორიის მტკიცება, რომლის მსგავსი არა ერთი სხვაც მოგვეპოვება, უპასუხოდ დარჩება?

ჰარაიას სიმღერა


დაგროვილან ქართველები,
 აულიათ კეტები,
 სდევენ კატას მოსაკლავად,
 სულ არიან ცეტები.
 დავკრავ, მოვკლავ,
 არ გეგონოს მშიშარა სომეხი... და სხვ.

ღმერთო შეგცოდდე! უნებლიეთ ჰარაიას*) ეს სიმღერა მაგონდება, თბილისის შუა ბაზრის ქუჩებში, რომ მღეროდა ქართველებისა და სომხების კარგ გუნებაზე დასაყენებლად, როცა „ბრძოლის ხმაში“ პარიზის ერთი კრების შესახებ და მის მიერ მიღებულ „რეზოლუციას“ ვკითხულობ. იგივე ჰარაია მღეროდა: „დაწყევლილო მარტის თვეო“ „აღსდექ თამარ დედოფალო შენთვის სტირის საქართველო“ და მრავალ პატრიოტულ სიმღერას. ეს ჰარაია იყო ჩამომავლობით არაბი, გულით და სულით ქართველი, როგორც თითონ იტყოდა. ამავე დროს წმინდა კავკასიელი. საშინლად ეზიზღებოდა რუსობა. მისი ანდერძი იყო დაემარხათ იგი კრწანისის ველზე და გულზე თამარ დედოფლის დროშა დაეფარებიათ. ეს ჰარაია იტყოდა ხოლმე: ქართველობა კარგი ხალხია, ნიჭიერი, ყოჩაღი, რაინდი, მართალი, მაგრამ ხშირად ვერ გაუგებ რაზე ღელავს, რაზე იბრძვის; ქართველი კაცი ამავე დროს აჩქარებულია და ამიტომ გამოუთქვი ეს სიმღერაო და დაიწყებდა თავისებურად — „მოგროვილან ქართველები“...

აი ახლაც, მართლაც, რაზე ღელავს პარიზის ქართველობის ერთი ნაწილი, რაზე ისხავს აბჯარს და მუშარადს, რაზე იღებს კეტებს მოჩვენებულ „მტრების“ მოსაკლავად?! დარწმუნებული ვარ ბევრი მათგანი გულწრფელადაა აღელვებული, ბევრი კი ანგარიშებით. ამ უკანასკნლთან მე საქმე არა მაქვს. მათ სულ სხვა ნაირად უნდა პასუხი და არა სიტყვით დჯერებით, საგანზე დინჯი მსჯელობით.

რა მოხდა? ჟურნალ „კავკაზმა“ თავიდანვე, დღიდან მისი დაარსებისა, ერთი გარკვეული ხაზი აიღო: ვინაიდან ჩვენ ერებს, მთლად კავკასიას, საშინელი მტერი აწევს ჩრდილოეთიდან და ჩვენს ქვეყანას დედა მიწის ზურგიდან აღგვას ემუქრება, ჩვენი ფიზიკური არსებობაც კი საფრთხეშია, საჭიროა, მომენტის იმპერატიული მოთხოვნილებათა, ამ ძლიერ მტერთან უთანასწორო ბრძოლაში, სამხრეთით მეგობრების მოპოვება, რომ ამით ერთნაირად გაგვიადვილდეს ბრძოლაო. ამისათვის სხვათა შორის მიზანშეწონილი იქნებოდა დღეს დავის მიტოვება იმ საზღვრებზე, რომელსაც ოსმალეთი ფლობს ამ ხანად კავ-

*) „ჰარაიას“ სახელში ჩვენი თანამშრომელი ჰგულისხმობს ცნობილ აშულს ჰაზიმას.



კასიის სამხრეთით. აქვე უნდა იქნას აღნიშნული, რომ ბათუმზე და პარაკი და ერთი მითქმა მოთქმა ყურით მოთრეული ამბავია. ყველამ იცის — ქართველმა ემიგრაციამაც კი, რომ ბათუმი დღეს საქართველოს საზღვრებშია. მერე ვინ შეჰქმნა ასეთი მდგომარეობა კავკასიის სამხრეთით, ვინაა პასუხისმგებელი ამ სავალალო, სამწუხარო ვითარების დამყარებაში?

4 დეკემბრის „რეზოლუციის“ ყველა გამზიარებელი ალბათ ერთხმად იტყვის: კომუნისტურმა რუსეთმა ჩაიდინა ეს მოღალატეობა ქართველი ერისადმი, მან გადასცა ჩვენი ისტორიული ადგილები ოსმალეთს! მოითმინეთ ბატონებო, ნუ აჩქარდებით! მტერი იმიტომ არის მტერი, რომ თუ იგი გაიძარჯვებს, როგორც მოეპრიანება, ისე მოიქცევა. ეს — თუ გნებავთ მისი „უფლებაცაა“, ვითარცა გამარჯვებულის. უმთავრესი დამნაშავენი კი ჩვენა ვართ, ბატონებო; დამნაშავეა იმ დროის ის მეთაურობა, რომელიც ამიერ კავკასიას ჰყავდა. იმ მეთაურობამ ვერ შეჰქმნა კავკასიის 12 მილიონ მოსახლეობისაგან სალიკლდე, როგორც ჩრდილოეთის ისე სამხრეთის წინააღმდეგ. და ბოლოს დამნაშავენი არიან თვით კავკასიის ერები, მათი მოუმზადებლობა ისტორიულ ამოცანისათვის და იმაშიც, რომ მათ ასეთი მეთაურობა ჰყავდათ. აი ეს არის პიტალო სინამდვილე და ისტორიის სიმართლეს ვერ გაექცევა კავკასიის იმ დროის მეთაურობა, როგორც უმთავრესი პასუხის მგებელი. ახლა საკითხი ისმება: ისტორია მათ რა თქმა უნდა თავის მსჯავრს დასდებს, მაგრამ დღეს ჩვენ რა ვქნათ? შეგვიძლიან თუ არა ჩვენ ორივე ფრონტით ბრძოლა, ერთ და იმავე დროს ჩრდილოეთით და სამხრეთით? ყოველი ჰკუთათ მყოფელი და პასუხისმგებლობის მგრძნობი ადამიანი იტყვის, რომ ეს ყოველად შეუძლებელი რამე არის. მე კი ჩემ თავად დავუმატებ: ასე მიდგომა საქმისადმი — თავიდანვე დამარცხებას ნიშნავს. მეტიც. ოსმალეთს უმაგრებთ იმ შეხედულებას, რომ მისთვის გაცილებით სასარგებლოა დღევანდელი რუსეთი, როცა არსებითად ის მისი წინააღმდეგი უნდა იყოს. მაგრამ წარმოვიდგინოთ, რომ რუსეთის საშიშროება მოშორებულია. ამ მდგომარეობაში ოსმალეთი იძულებული იქნება, რადგანაც ჩვენ ამ ფრონტითაც ბრძოლას ვაწარმოებთ, თავისი პოზიციების გასამაგრებლად კავკასიის სხვა ნაწილებიც დაიჭიროს და ჩვენ მაშინ იძულებული ვიქნებით უკვე ზარბაზნების ქვეშ უფრო მძიმე პირობებზე მოვაწეროთ ხელი, როგორც ერთ დროს რამიშვილმა, რცხილაძემ და გვაზავამ.

ახლა დაუკვირდეთ! თქვენი „რეზოლუცია“, თქვენი პარიზის ქუჩებში ასეთი ახმაურება ხელს უწყობს თუ არა დღევანდელ ოსმალეთში ასეთი აზრების განმტკიცებას. თუ თქვენ გაბედულად ამას ვერ მეტყვით, მაშინ მე მოგახსენებთ: თქვენი ასეთი გამოსვლა თქვენდუნებურად ერთნაირი პროვოკაციაა. ჩვენი ისედაც მძიმე მდგომარეობის ზედმეტად გაუარესებაა. თქვენმა მზემ! ძალიან სამსახურს კი უწევთ ჩვენ მრავალტანჯულ სამშობლოს! ერთი კია, ჩვენდა საბედნიეროთ ოსმალეთი ნაკლებად აქცევს ყურადღებას თქვენს აპილპილე-

ბას. პირადათ კი რას მიაღწიეთ. მხოლოდ რამდენიმე კაცს მოუფხანეთ გული ყოვლად დამსახურებული ქართველების სახელის „დაგმობით“, „გაქელვით. თქვენი „რეზოლუცია“ ხომ ამის მეტი არაფერია?! მაგრამ ამაზედა სთქვა რუსთაველმა: „უმსგავსო საქმე ყოველი მოკლეა, მით ოხერია, რა უთქვამს, რა მოუჩმახავს, რა სიტყვა მოუწერია!“

ხელოვნურად ჩამწყობთ კი უნდა მოვახსენოთ: თქვენ ერთი წუთითაც კი ვერ აგიტანიათ, რომ თავის ქვეყნის საკეთილდღეოთ სხვაც მუშაობს, მოქმედებს და იმ გვარად, როგორც მისი სინიღისი და გაგება უკარნახებს. დაინახავთ თუ არა, რომ სხვაც რალაცას აკეთებს, — პარიჟა! ასტეხთ ერთ განგაშს, გული ბოლმით გევსებათ იმის მაგიერ რომ სიხარულს იწვევდეს თქვენში ეს მოვლენა. ქვეყნის სამსახურიც ასეთი უნდა! აფერუმ თქვენს „საქმეს“.

მართლაც გადავხედოთ სინამდვილეს. ჩვენი ქვეყანა იქ სისხლით იცლება, რომ იტყვიან ქერი თავზე გვენგრევა. იქაური ცნობებით საქართველო და მთლად კავკასია ასეთ ბნელ დღეებს არ მოსწრებია. ხალხი ისეა განაწამები, რომ არ იცის სად შეაფაროს თავი. ჩვენ კიდევ არ ვიცით რა მოგველის ახლო მომავალში, რა რიგათ გაუარესდება იქ მდგომარეობა. თუ ის აშვეებული „აპოლიკსესის“ მხეცი არ იქნა მოთოკილი. ასეთი მდგომარეობაში კარგი მეზობელი, ჩვენთან კეთილად განწყობილი, განაწამებ ხალხისათვის ციური მანანა და ქეშმარიტი კავკასიელის ყოველი ნაბიჯი აქეთკენ მიმართული დილაც რომ მისასალმებელია. ვფიქრობ ქვეყნის ნამდვილი სამსახური სწორედ ესაა. ამის მაგივრათ კი რას ვხედავთ! პარიზის „რეზოლუციებს“ და მათ გაზეთებში უშნო, უკბილო კომენტარიებს.

თავიდანვე ვიცი: საკითხისადმი ასეთი მიდგომის გამო აქეთ იქიდან ცრულ აღელვებული ხალხი შემომძახებს. „როგორ, ჩვენი ქვეყნის ნაწილებს სხვას უთმობთ, აქეთ იქით არიგებთ ჩვენს ისტორიულ მიწა-წყალს?“ რასა ბრძანებთ ბატონებო! რის დათმობა რის დარიგება. რა გვაქვს ხელში, რომ ვურიგოთ, უჩვენოთ მოხდა ეს ფაქტი და სამხრეთის მეზობელი ამ ადგილებს აგერ 17 წელიწადია ჰფლობს. კითხვა შეიძლება დაისვას მხოლოდ იმის შესახებ: შეგვიძლიან დღეს ბრძოლა ამ ადგილების უკან დასაბრუნებლად თუ არა? ბრძოლა შეიძლება ორი გზით: ან იარაღით, ან დიპლომატიური გზით, ან ორივეთი ერთად. და მე ვფიქრობ, რომ დღეს ჩვენ ეს არ შეგვიძლიან და თქვენც ვერ ბედავთ ამის თქმას. ეს ბრძოლა იქნებოდა ჩვენთვის სებედისწერო, და მაშასადამე ჩვენი მხრით ბოროტება, საშინელი დანაშაული. ვგონებ საკითხი ნათელია, თუ თქვენსას არ დაიჩემებთ! მომავალი, განთავისუფლებული საქართველო კი რას იზამს, მადლობა ღმერთს, ამას ჩვენს ემიგრაციას არ ჰკითხავს. დარწმუნებული კი ვარ ამ საგანს ის უკეთესად მოაგვარებს, ვიდრე პარიზის ქართველობის ერთი ნაწილების კრება. ის ადვილად გამოსძებნის სამხრეთის მეზობელთან მორიგების ენას.



როგორც ხედავთ პოზიცია სრულიად ნათელია და თუ ცნებათა სრული აღრევა არაა გამეფებული ქართველ ემიგრაციის ერთ ნაწილში, თუ ბაბილონის გოდოლად არაა გადაქცეული იგი, გასაოცერია საიდან გამოჰყავს მას, რომ ვიღაც რაღაცებს არიგებს. რაც შეეხება იმას თუ სინამდვილეში ვინ, როდის და რას უთმობდა — ამის შესახებ უკვე დოკუმენტალურად მოისმინეთ ბევრისგან და ალბათ კიდევ ბევრს „ახალს“ გაიგებთ. მე ჩემის მხრით დავამოწმებ შემდეგს:

მე ჩემის სრულის შეგნებით არ გავყევი მთავრობას უცხოეთში, თუმცა პირველ სიაში ვიყავი მოქცეული. დავრჩი ბეთუძში და აქტიურ მონაწილეობასაც ვიღებდი ბათუმის დაცვაში ოსმალეთის ძალების წინააღმდეგ, მიუხედავად იმისა რომ დაძავეებული ვიყავი. ქუთაისიდან წიფის ფრონტზე საჩქარო დავალებით გამგზავრებული, მე და გოგიტა ფალავას ორთქლმავალს გზაში ცეცხლი გაუჩნდა. მხოლოდ იმით გადავრჩით, რომ გაქანებულ ორთქლმავლიდან გადმოვხტით. ბათუმის ბრძოლის ამბები კარგად ვიცი. მაზნიაშვილი მთავარ სარდლად ამ ბრძოლებისათვის მე და ვალოდია ჯიბლაძემ წამოვაყენეთ სეროიჯა ქავთარაძის კაბინეტში, სადაც ჩვენ განსაკუთრებულად ვიყავით მიწვეული ბათუმის დაცვისათვის ზომების მისაღებად. სეროიჯა ქავთარაძე ჩვენს რჩევას სრულის ნდობით მოეპყრა. ის იყო ერთი აღგზნებული მებრძოლი ბათუმის შენარჩუნებისათვის. მხოლოდ გაცეცხვით გვეკითხებოდა: ოსმალეთის მხედრობის ოფიცრობა ამტკიცებს, რომ ბათუმი მათ ეკუთვნით თანახმად ჟორდანიას მთავრობასთან შეთანხმებისაო. ბათუმში მათი პატრულების გამოჩენას ამით ხსნიანო. და ჩვენ გვეკითხებოდა რა იცით ამის შესახებო? ჩვენ კატეგორიულად განუცხადეთ, რომ ასეთი რამ შეუძლებელიაო და ბრძოლის სამზადისს შევუდექით. მე ახლაც არ ვიცი რამდენად მართალია ჟორდანიას ეს შეთანხმება ოსმალეთთან, ვიდრე დოკუმენტი არ გამოქვეყნდება.*) მაგრამ ბათუმში რომ ამაზედ იმ დროს ლაპარაკი ბევრი იყო, ეს კი ფაქტია. დაუმატებ, რომ იყვნენ ქართველები, რომელთაც ტაქტიკური მოსაზრებით, უკეთესად მიაჩნდათ იმ დროს ბათუმის ოსმალეთის ხელში დატოვება. მათი აზრით იქიდან მეტი საშვალეა იქნებოდა, ვიდრე სტამბოლიდან რუსეთის ოკუპაციის წინააღმდეგ ბრძოლისა. რამდენათაც მახსოვს, განსვენებული ნოე რამიშვილიც აქ, ემიგრაციაში შეცდომათ სთვლიდა ბათუმის ბოლშევიკების ხელში დატოვებას. ბევრმა დრომ განვლო ამ ბრძოლებიდან. ჩვენი მალე განთავისუფლების მრავალი იმედები დაიმსხვრა და ვერ ვიტყვი რომ იმ ქა-

*) „კავკაზში“ დაიბეჭდა ჟორდანიას მთავრობის „დოკუმენტი“, საიდანაც ჩვენი პატივცემული თანამშრომელი შეიტყობს, რომ შეთანხმება ჟორდანიას მთავრობასა და ოსმალეთს შორის საქართველოს ტერიტორიის დათმობის შესახებ, მართლა იყო.

რთველებს, რომელთაც ბათუმის დატოვება ოსმალეთის ხელში თესად მიაჩნდათ, ნაკლებათ შესტკიოდათ გული ბათუმზე.

ხშირად ვამბობთ: ქართველი ხალხი რაინდიაო და ამით თავიც მოგვაქვს. რაინდობის ერთი დამახასიათებელი თვისება ისიც უნდა იყოს, რომ კაცს უნდა შეეძლოს სხვისი აზრის მოსმენა და ერთნაირი პატივისცემაც უნდა ჰქონდეს. თუ ვართ ამ სიმაღლეზე? პარიზის კრება მაეჭვებს.

დ. საღირაშვილი

ახირებული სოციალიზმი

1921 წლის თებერვლის თვეს ქართველ ერს ისევ ჩრდილოელი მწუხრის სუდარა გადაეფინა. საქართველოს დიდი შვილები, რომელთაც მამულიშვილობისათვის გული უცემდათ და გონება მისთვის მოემართათ, მთელის შეგნებითა და სათუთობით გამოსთქვამდნენ მოთმინებას, რომ გამოეჩინათ ლოიალობა, რათა წარემართათ ჩვენი მოქმედება - მთავრობა, ეროვნული წარმატებისაკენ, დამოუკიდებლობის დაცვისა და უკეთესი აღმშენებლობისათვის. ქართველი ერის საუკეთესო ნაწილის ასეთი სიღარბაისლე მარქსიზმის წინაშე გამოჩენილი, ამტკიცებდა მათ შეგნებულ და ღრმა ქართველობას.

26 მაისის მქონეს და უბედური თებერვლის მომსწრეს, არავის ეჭვი შესდიოდა, რომ ამიერიდან საქართველოს სახელისა თუ საქმის ყველა მოსარჩლეს საერთო და უდავო მხოლოდ ქართველი ერის თავისუფლება, და მისთვის ყოველგვარ რეზერვ - დოქტრინის გარეშე ბრძოლა უნდა ჰქონოდა მიზნად. ეს ითვლებოდა ეგოდენ ჭეშმარიტებად, რომ ის აპოთეზამდე ავიდა და გვახსოვს ქართველი ხალხის შვილთა, მოწაფე თუ სტუდენტთა ერთიანობა. თვითუელმა მიაგნო თავისი წრე რომ მხოლოდ იმისთვის ებრძოლა და მით ესულდგმულა, რაც ქართველი ერის ამ მთლიანობას შეინახავდა და კიდევაც გაანთავისუფლებდა.

ჩვენ წრიდან გვახსოვს სიმბოლიური გამოთქმა ამ ერთობისა, სადაც ახალგაზ. მებრძოლ სოც. ფედ. არა ლეგალურ ორგანო „მებრძოლთა ხმა“ში, გ. ლასხიშვილსა და სხვათა გვერდით ერთსულოვნად მოექციათ ჩვენი მთავრობის წევრთა სურათები სათანადო წარწერით. ამ წრის შეგნებაში ტარდებოდა ქართველი აზროვნების სალი კლდის: არჩ. ჯორჯაძის, კ. აბაშიძის, გ. ლასხიშვილის, გ. რცხილაძის, და სხვათა სულისკვეთება, რომ საქართველო ფიზიკურად დამარცხებული, გაერთიანებულია ყველა მისი დასებით ეროვნულ შეგნებასა და მის ისტორიულ სვლაში. რომ ფაქტიურად გაიმარჯვა არჩ. ჯორჯაძის დიდმა ჭეშმარიტებამ, წინააღმდეგ მარქსიზმისა. ამ დღიდგან ქართველი

ერის ამ მიღწეულ მთლიანობას მოვლა უნდა, რაც იქნება მისი განთავსების ვისუფლების ძალა. ამიტომაც გვაგონდება იმ ახალგაზრდათა გავლენიანი ჯგუფი, რომლის სული და ხორცი (ვიტყვი მხოლოდ დახვეტილებზე) იყვნენ: გ. სვანიძე, გია აბაშიძე, გ. მამრადე, ირ. ტყემალაძე, ბ. დოლიძე და კეკელიძე. დაიხვრიტა გიგა ჩიქოვანი, ხოლო მრავალი სხვა გადასახლება - ციხეებში ამოწყდა. უცხო მიწასაც ბევრი მიებარა, როგორც მომავლით სავსე და ნიჭიერი გ. ნაცვლიშვილი და ბევრი სხ.


და დღეს ჩვენ, რომ ყველა აქ ნახსენებ პირებს გადაუშალოთ ნებით თუ უნებლიეთ გაუმართლებელი ისტორიული მისია ჩვენი მთავრობისა, ალბათ მათი აზრიც სხვა ძიებას დაიწყებდა და გულის ტკივილით იტყოდნენ მ. კოლუაშვილის მიერ ნათქვამ სიტყვას: „ჩვენი ცოდვა იმათ კისერზედ იყვეს, ვინც დიდ საქმეს ეპოტინება და პატარა საქმისათვისაც არ გაუჩენია ღმერთსაო“.

მთელი რიგი მოვლენებისა და ცდის შემდეგ, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ურწმუნოს ვერ არწმუნებთ, რომ ვერც იდეურად, ვერც პოლიტიკურად, ეროვნებისა და მის ჭეშმარიტ კეთილდღეობისათვის ვერაფერს მიიღებთ მათგან, ვისაც ის არა სწამს განცდით, ისე როგორც შეგნებითა და მსოფლხედველობით. მართლაც, ჩვენ მეტად განვირჩევიტ ჩვენი ყოფილი მთავრობისაგან, რადგან ის იყო და დარჩა მხოლოდ მარქსისტული.

რათა ეს მოვლენა მკაფიო გახდეს, განვიხილოთ პოლიტიკურ-ფილოსოფიური დებულება, რომელიც შეიცავს პიროვნების იდეალისტურ - სინთეტიურ თავისუფლებას სრულქმნილობით და რომლის უმაღლესი კოლექტივია ერი. აქედან, ერი არის ყველაფერი, ყველაფრის შემქმნელ მომცემი. ამიტომაც მის დროშაზედ ეწერა: ერთი ერი, ერთი პარტია, ერთი სახელმწიფო; ერი და თავისუფლება - პიროვნება. და ვინც და რაც საამისოდ უკეთეს გარანტიას მოგვანიჭებს, ის უნდა გახდეს ჩვენთვის საგოგმანო. ყოველივე ეს გამომდინარეობს იქიდან, რომ ცხოვრება წარმატებაა და მისი შინაარსიც აქ არის. ერი და პიროვნება აი, ის იდეა „ფორს-კრეატრის“, რომლისთვისაც ყველაფერი საშვალეა და არა თვით მიზანი. ესე იგი, ერია უმაღლესი დებულება, რომელიც, როგორც ვნახავთ, სრულიად ეწინააღმდეგება მარქსიზმისა თუ ისტორიული მატერიალიზმის ცნებებს.

ზემოდ განვითარებული მსოფლხედველობის ნიშანდობლივი თვისებაა იმ წრეში ვიყვეთ, სადაც სწამთ ერი. მაგრამ ცნება ერის ყველაზედ დიდი კონფლიქტი სწორედ მარქსიზმ - ისტორიულ მატერიალიზმთან მუღავნდება. იგი ამ თეზისის ანტითეზაა. თუ კი გავსინჯავთ მარქსისტულ სოციალიზმს, მაშინვე იგრძნობთ ამ ჭეშმარიტებას.

წინდაწინ გვინდა ვსთქვათ, რომ მარქსმა ცხადათ დაასაბუთა შრომა-კაპიტალის კონფლიქტი და მარქსისტები გახდნენ კლასთა ბრძოლის ძალად, მაგრამ არას დროს შემომქმედ მოძრაობათ ეროვნებისათვის, რადგან მისი მისია კლასობრივია და არა ეროვნული. ასეთ მიკი.



ბულ მოკიბულ სოციალიზმთან, რომელსაც მარქსიზმი ეწოდება და რომლის გამო ამდენი შავი ამბავი გადაგვხდა, ჩვენ ვინც ჭეშმარიტად ერის მალიარებელი, ეროვნობისათვის რეალურად მომქმედი, ჩვენ საერთო ცოტა რამა გვაქვს, რადგან, მეორე ინტერნაციონალი მხოლოდ მუშათა, უფრო სწორედ, პროლეტარიატის ინსტანციაა და არა ხალხურ - ნაციონალური. კლასობრივი მარქსიზმით ერი - სამშობლო კი არ არსებობს, არამედ კლასები. ეს მოძღვრება აშენებულია „კაპიტალის“ მიხედვით „კომუნისტური მანიფესტის“ საფუძველზე. მან ანალიზი გაუკეთა ისტორიის სვლა - მოვლენებს და მიზეზ - შედეგით მივიდა ისტორიულ მატერიალიზმამდე. ამ უკანასკნელის „გაფილოსოფიურება“ ჩამოიხსა ფ. ენგელსის „ანტიდიურინგ“ში. მათი მიხედვით ისტორიაში არის ერთად ერთი ფაქტორი — ეკონომიური (მატერიალური), საბოლოოდ კი პროლეტარიატი. ამ უკანასკნელს ისეთი პროცესიუსი აქვს, რომ გსურთ თუ არ გსურთ, სოციალიზმს ისტორიული გარდაუვალობის ძალით მიიღებთ. პროლეტარიატის ასეთ როლს და ამრიგათ გაგებულ მარქსისტულ სოციალიზმს უწოდეს „მეცნიერული სოციალიზმი“.

როგორ მოათავსა ჩვენში მარქსიზმის დამაარსებელმა ბ-ნმა ჟორდანამ ეროვნულ აღდგენა - ნესვეურობის ცდა მარქსიზმში, სწორედ გასაკვირია. მაგრამ მიზანი ადვილათ მისახვედრია: ემსახუროს პროლეტარიატს და არა ერს! ჩვენ კი სოციალიზმი გვწამდა იმდენად, რამდენად ის ერს გამოადგებოდა. აქ იყო ის უფსკრული, რომლის გამო ამ ორ შეხედულებას ერთად სვლა არ უწერია.

მეტიც, მარქსიზმი ისეთი დახლართული სოციალიზმია, რომ მართლა მოკლებულია ისტორიულ მეცნიერებას; მისგან გათიშულია მორალურ - ესთეტიური ღირებულება, გათიშულია ეროვნული შემოქმედებითი ძალა. საზოგადოთ მან ვერსად და ვერასოდეს ვერ გამოიჩინა ეკონომიურ-მატერიალური კონსტრუქტიულობაც კი, რომლის მოწოდებულად თავი მოაქვს მას, უბედურება კი ათასი გვანახვა.

გვაგონდება ანრი დე მანის „ო დელა დუ მარქსიზმ“ის წინასიტყვაობა, სადაც მარქსიზმი შედარებულია ჯიბის დანასთან, რომლის ხან ტარი ყოფილა გაფუჭებული და ხან პირი. ერთიც უცვლიათ და მეორეც და დღეს იმ პირველ დანისაგან არაფერი დარჩენილა. ესე იგი მარქსიზმი უარყო ცხოვრებამ. უნებლიეთ გებადებათ კითხვა, თუ რა გაუჭირდათ ამ ხალხს, რომ ასე გადაყვნენ ამ უშედეგო მარქსიზმს?! კარგი იქნებოდა ერთხელ კიდევ მოეხდინათ ისტორიის ანალიზი!

იქნებ მაშინ მაინც მიმხვდარიყვნენ, რომ ისტორია არსებობდა კლასების გაჩენამდის და მომავალშიც სვლა ექნება ნაციონალურ ინტერესთა ფაქტორების ძალით. შეგვეკითხებიან თუ რა მნიშვნელობა აქვს ამის მიზეზების ძიებისათვის? ის რომ უნდა ვიცოდეთ თუ სად არი ჩვენი შეხედულება - ბუნება. მარქსისტულმა მოძრაობა - მოძღვრებამ უნდა გაიგოს თავისი ხვედრითი წონა, რომ ზოგჯერ მას შეუძლია



ცოტა რამ, მაგრამ არას შემთხვევაში ეროვნულობისათვის დიდი სამსახური. მით უმეტეს არ შეუძლია ერის მაგრად ფეხზე წამოყენება-გამაგრება.

გადაიკითხთ თვით ბ. ნ. ჟორდანიას „დიფიკულტე სოსიალისტ“ და მიხვდებით რომ მარქსისტულ მეცნიერული სოციალიზმი არ არსებულა. კიდევ უფრო დიდი უარსებოა ბ. კ. გვარჯალაძეს ბროშურა: „ქ. სოც. დემ. პარტიის საზღვარ გარეთ მუშაობა“. და მთლად არა ლოიალურია იქვე ბ-ნ ს. მდივნის ყოველგვარი შენიშვნის გარეშე ხსენება. იქვე იგრძნოთ თუ რა უგულწრფელა იქ თანამშრომლობა. ყველასთვის საგრძნობი უნდა იყოს, რომ იმ მრწამსის ხალხი, რომელმაც „დიფიკულტე სოსიალისტ“ ი შექმნა, შეუძლებელია იყვეს, რთულ სახელმწიფოებრივი ინტერესების პოლიტიკის გამყოლი. საქართველოს გამანთავისუფლებელი ბრძოლის პრაქტიკული მედროში, და შემდეგ მისი აღმდგენი.

ასეთი „ლუქსი“ ასატანია მაშინ, თუ თვით მარქსიზმის დებულებით ჩვენში კაპიტალიზმი შეიქმნა და ეს მოძრაობა ბუნებრივად წარმოიშვა. მანამდის კი მრავალ ტანჯულ საქართველოს ეყოფა ორი მარქსიზმის ექსპერიმენტი. წარმოსადგენია, რომ საქართველოს ეგ დასი არ გასჩენოდა, ის (ერი) შეამთელებდა მის ისტორიულ დინამიზმს, ნორმალური სვლით და დადებითად. აქედან, ის თითქოს დიდი სამსახური ამ მოძრაობისა, რომელიც მდგომარეობს ხალხის გაღვიძება ამოძრავებაში, უარყოფით ხასიათს ღებულობს. ეროვნულ სხეულზე ხელოვნური მოძრაობის შექმნა, მისი სხეულის შესუსტებაა. როგორც ყველა საგანს თავისი ხვედრითი წონა აქვს, საქართველოშიც „მარქსიზმმა“ უნდა მიიღოს თავისი ასეთი წონა. ეს იქნება მის მიერ ერისა და ადამიანის კეთილყოფისათვის საუკეთესო სამსახური, დღევანდელი მისი მისია.

გვტყვიან არის მთავრობა! არა გვგონია ემიგრაციაში იყვეს ისეთი ქართველი, რომელიც თავის გულის სიღრმეში არა გრძნობდეს მთავრობის მიერ თვალსაჩინოდ მისი მოვალეობის შეუსრულებლობას. 1924 წლის აგვისტოს აჯანყების შემდეგ ეს პროცესი ღრმავდება. დღეს ჩვენ ჩაფლული ვართ იგეთივე ბროშურა - პოლემიკაში, რომელიც მუდამ ახასიათებდა მარქსისტულ ხელმძღვანელობას, როგორც დამოუკიდებლობის დროს, ისე აქაც ემიგრაციაში. ნუ თუ კიდევ ვერ დავრწმუნდით, რომ ესაა პარტიულობა და არა ეროვნულობა, რომ კოკასა შიგან რაცა სდგას იგივე წარმოსდინდების! როგორიც არის პარტია და მარქსიზმი, ისეთივეა მისგან წარმოშობილი მთავრობაც.

აქედან, სხვა წამოწყება უეჭველად ნაკლებ საშიშროებას გვაძლევს. საქართველოს მუდამ დამცველმა ბ-ნმა პ. რენოდელმა საფრანგეთის ტრიბუნიდან გვაგრძნობინა, რომ (იხ. ლა დემოკრასი, ლე სოსიალიზმ ე ლა ს. ლ. ნ. კონტრ ლა პე. პარ მ. ლეონეტტი) შეუძლებელია მუდამ ასეთი მთავრობის იურიდიული შენახვა და ერთა ლიგამ კი დაამტკიცა თავის წევრად მარქსიზმის მეორე ფრთა, საბჭოთა რუ-

სეთი. რაც ამტკიცებს, რომ ერის გამანთავისუფლებელი მოძრაობა მოქმედება უნდა დაეყრდნოს სახელმწიფოთა ინტერესებს და არა მარქსისტულს თუ პაციფისტურს. რომ ერისა და პიროვნების კეთილდღეობა - გარანტიისათვის არ ვხედავდეთ მარქსიზმის უვარგისობას, მაშინ საამისოდ არც კი გავკადნიერდებოდით. მაგრამ მისი ერთი ფრთა ჩვენს ერს მუხლზე აჩოქებს და მეორე ყელში ეცა. ამიტომაც ეს მოვლენა ქართველისათვის განსაკუთრებულია. (განსაკუთრებით ისეთ დროს, როცა მარქსისტულ მეცნიერული სოციალიზმი საძებნიცა ყოფილა. (იხ. ბ. ნ. ჟორდანიას „დიფიკულტე სოსიალისტ.“) ჩვენში, საქართველოში ამ მოძრაობის დროს, ბევრ იქ მყოფს სხვანაირად ჰქონდათ საქმე წარმოდგენილი, მაგრამ აქ წინ სხვა სურათი გვეშლება. მეტიც, ამ ჯგუფმა საჭიროდ დაინახა ხელმეორედ გამოეცა ბ. ჟორდანიას „ეკონომიური წარმატება და ეროვნება“, სადაც მთელი ამბავი დაყვანილია კუჭის საკითხამდე. ძალზე გვინდოდა მხარი აგვექცია ამისათვის, მაგრამ არ ხერხდება, ვინაიდან მარქსიზმის აკადემიურობა, მეცნიერულობა არ არსებობს. თუ საქმე მართო კუჭზედ არის, მაშინ ბევრ ერს მისი უკეთ დაკმაყოფილება ეროვნულობაზე ხელის აღებით შეეძლო. მაგრამ ჩვენ ვხედავთ, რომ ერებს უფრო მეტი სიდუხჭირის დროსაც ხელი არ აუღიათ ისეთ ფაქტორზედ, რომელიც ვერასოდეს მარქსიზმში ვერ ჩაეტევა.

მარქსიზმი და ისტორიული მატერიალიზმი თუ ასე მეცნიერული და ასე გარდაუვალია, მაშინ რად სჭირდებათ თვით მარქსისტებს მისი ასე ძებნა, რათ არიან დაყოფილნი? თვით ბ. ნ. ჟორდანიას აღნიშნულ წიგნშიდაც იგრძნობთ თუ რა ოფლში იწურებიან მარქსისტები, რომ მარქსიზმი თავის ტრადიციას გადარჩეს. ცხადია რომ ქართველი მარქსისტები ქართველები არიან. მაგრამ როგორც კი ისინი მოძრაობაში და დოკტრინაში გადადიან, ანტიეროვნული ხდებიან. მართალია, რომ არსებობს დემოკრატიული მხარეც მარქსიზმისა, თუმცა დემოკრატიის მამა მთავრები არასოდეს ყოფილან მარქსისტები. ასეთები არიან მაგალითად ე. ე. რუსო თავის „კონტრა სოსიალში“ და მონტესკიო „ლესპრი დუ ლუაში“. თვით ბ. ნ. ჟორდანია იხმარებებს მათ. ერთი რომ თუ მარქსიზმი თავისით არის მეცნიერული, რაღად ებლაუჭებიან დემოკრატიზმს. შემდეგ, თუ ბ. ნ. ჟორდანიას დაუჯერებთ, დემოკრატია ხან შეიძლება იყვეს პროლეტარიატის დიქტატურა, ხან უმცირესობისა და ხან უმრავლესობის სასარგებლო და ხშირად კი არჩევნების პრინციპიც სადავოაო. მაშ სადღაა დემოკრატობა, დამცველი პიროვნებისა?

თვით ე. ე. რუსოს კი დემოკრატიზმი არ მიაჩნდა სავალდებულოდ ყველგან და ყოველთვის (კონტრა სოსიალ) რადგან თითოეულ ერს აქვს თავისი გეო-პოლიტიკური მოხაზულობა, რომლის მიხედვით მან უნდა მიაგნოს თავისთვის, დროისა და ადგილის მიხედვით, თავისი პოლიტიკურ რეჟიმსო.

დემოკრატია არის ან იყო შედეგი ადამიანის, მისი უფლებისა და წარჩინების პრინციპისა. რადგან მარქსისტებს იგი მიაჩნიათ მხო-



ლოდ საშვალებად და იგიც სადაოდ, სადღაა მათთან რაიმე გაგების
გზა და ხიდი?

აშკარაა, რომ ასეთ ახირებულ სოციალიზმ - მარქსიზმთან, რო-
გორც პიროვნებას ისე ერს საერთო არაფერი აქვს. ის შინაარსითა
და ბუნებით ანტითეზაა ერის სვლისა და ჩვენს მიერ აღიარებულ მი-
ზნებისა.

ქართველ ერს უნდა თავისუფლება და ქართველთ, გარანტია კე-
თილდღეობა წარმატებისა. ჩვენი ადგილიც იქაა, ვინც ამისათვის იბრ-
ძოლებს, ვისაც ის სწამს როგორც შეგნებით თუ განცდით, ისევე მს-
ოფლხედველობით.

სევ. ურუშაძე

ქ ა ქ უ ც ა ს

დიდება შენა, სამშობლოს გმირო,
ქება - დიდება, მამულის შვილო,
შენის ეშხითა მინდა გავკივლო:
„ვაშა, ქაქუცა ჩოლოყაშვილო!“

ვინ იყო იგი, რომ არ გაქებდა,
შენზე იმედებს არ ამყარებდა,
შენ შეფიცულთა დევური ბრძოლა
დატანჯულ მამულს არ ამხნევებდა!

შენს ქართულ გულში ძალ სდულდა წმინდა,
რაც ჩვენ გვაკლია, რაც დღეს ჩვენ გვინდა,
რომ მოვიშოროთ მაიმუნობა
და დავიბრუნოთ კვლავ ეროვნობა.

გაუღვიძნია ეროვნულ გრძნობას,
ჩვენ წინაპართა უკვდავ გმირობას,
კვლავ მათი ხმალი მჭრელი ყოფილა!
მაშ სიხარულის მოგველის დილა!

ქართველნიც უწინ ასეთნი იყვნენ,
მამულისათვის თვის სისხლსა ღვრიდნენ,
ყრმა და ჭაბუკი, მოხუცებული,
ერი და ბერი, მეფე ცხებული!

ქართველი ქალი უძლოდა წინა,
 დედა - შვილობა იყო ძაშინა,
 საძმობლოს ერთგულს უზრდიდა შვილებს
 მალამოს სცხებდა ქვეყნის ტკივილებს.

მაგრამ დავშორდით ქართულ კერასა,
 გავყევით ავის ბედის წერასა,
 სული მივყიდეთ მტერს და ეშმასა,
 საწამლავისა მივყეთ შესმასა.

არაფერია ქვეყნად მუდმივი,
 წარმავალია იღბალიც ავი:
 რა ადგილი აქვს ერის მონებას
 თუ იგი ეტრფის თავისუფლებას!

ერი თვითვეა ბედის მქედელი,
 თვითვე იბრუნებს თავის დიდებას,
 რაკი იღვიძებს მის ადრინდელი
 სული და იჩენს უდრეკელ ნებას.

შაქრო ბაქრაძე

1924 წ. ტორუნი.

ზ ა ი რ ა *)


2 მოქმედებიანი ხევსურული დრამა 4 სურათით.

მოქმედება 2-რე. სურათი 1-ი.

(იგივე ალაგი, სადაც ლართუ შეხვდა პირველად ზაირას. ლართუ ცხვარს აძოვებს. სიმღერას ათავეებს და ჩანგურს დასდებს.)

ლართუ — ღმერთო, შენ შემოგვევლოს ლართუის თავი, ჩემის ბედნიერებისათვის! აი, ერთმა წელმა განვლო, ბიჭაიც მეყოლა, ჩემი ზაირაც ბედნიერია.

*) დრამის პირველი მოქმედება იხილეთ ჟურნალ „კავკასია“ს მე-7-დე ნომერში.



ან და, რა ბიჭი შემეძინა ჩემი შადური! ნამდვილი ვაჟა-ფშაველას ნების! ერთი წლისა უკვე ისე დაბობლამს როგორც პატარა ბატკანი. ვენაცვალე იმის გამჩენს! ეხ, მოვესწრები ნეტავი, თუ არა იმის დავაჟკაცებას?! რა ბედნიერი ვიქნებოდი მხარს ამომიდგებოდეს და ქისტეთ ერთად გადავსულიყვეთ. აი, დედასა, მაშინ ალბათ ჩემზე ბედნიერი კაცი აღარ იქნებოდა ამ ქვეყანაზე! ლაშარის ჯვარო, შენზეა ჩემი ბედის ტრიალი. შენ დაიფარე ჩემი ბიჭაი და ზაირა უბედურები-საგან.

მე ისე ბედნიერი ვარ, ძალზე მეშინის სატირლად და უბედობათ არ გადამექცეს. გული სულ რაღაც გლახა მოლოდინში მაქ. რა მოხდება, ბედი რას მიმზადებს ნეტა ვიცოდე? მაგრამ კაცმა რა იცის უშუბლზე რა სწერია...

(დაფიქრდება. წამოდგება და გზას გაჰხედავს. ვილაცის მოლოდინშია.)

რაექნა, სამხარის დროა, სადარს აქამდის, ხომ არა შეემთხვა რა?

(გამოვა ზაირა ბავშვით ხელში და სანოვაგით).

ზაირა — ზაირა მოგიკვდა. ჩემო ლართუ, სამხარი დაგიგვიანე. მოგშვივდებოდა.

ლართუ — არა, ჩემო ზაირავ. თქვენი ნახვა უფრო მამშვივდა ვიდრე სამხარისა. (ბავშვს ჩამოართმევს! ზაირა სანოვაგეს აწყობს).

ზაირა — მარტია შემხვდა, იმან დამაგვიანა..

ლართუ — რაო, რა გითხრა?

ზაირა — ჩემო ლართუ, ნუგეში რაღაც გულს მეყრება, მარტიამ მითხრა თურქია ბარიდან ამოსულა. ამბობს, ლართუს ბედნიერებას მალე ბოლო მოეღებო. ჩემო სიცოცხლე გაფრთხილდი. თორემ მე და შადურს რაღა გვეშველება, დავილუპებით.

ლართუ — ჩემო ერთავ, თურქია ვერას დამაკლებს.

ზაირა — ღმერთმან გვისმინოს!

ლართუ — ზაირა ნუ დარდობ, ტყუილა გულს ნუ იწუხებ. ეხლა, გენაცვალოს ლართუ, წა, მამა შადურს მიჰხედე. მეც ცოტას კიდევ მოვაძოვებ ცხორს და მალე სახში გავჩნდები. ხრამის გავლაზე ფრთხილა იყავ, ფეხი არ აგიცდეს.

ზაირა — არა გრცხვენიან, მაგრე მიშვებ, არც კი მემშვიდობები. შენი ზაირა აღარ გიყვარვარ.

ლართუ — (ხელს ხვევს და ჰკოცნის.) შენა გრცხვენოდეს რომ მაგას ამბობ. როდესაც ვერა გხედავ, ასე მგონია საუკუნოები გადის მეთქი.

ზაირა — (სიცილით) არა, ჩემო ლართუ, გაგეხუმრე.

ლართუ — (სიცილით) ძალიან ცუდ ხუმრობა იცი, წა არ დაგიგვრან-
დეს

ზაირა — ფეხით მივდრევი, გული აქ მრჩება!

ლართუ — ლეშით აქა ვარ და სულთ შენთან!

ზაირა — ჩვენი სულები, ჩემო ლართუ, მუდამ ერთად არიან და რო-
გორც მხსნელი ანგელოზები ჩვენ ბიჭიკოს თავს ევლებიან.

ლართუ — ავ თვალს არიდებენ, უბედურებას აცილებენ.

(ლართუ ბავშვს აწვდის და აცილებს. შემოტრიალდება. ცოტა
ჩაფიქრებული არის. შემოვა თურქია.)

თურქია — დიდ ხანს ვითმინე, დიდ ხანს გეძებე და ბოლოს შეგხვდი.
ვალზე როგორ ხარ, ხომ არ შეშინდი?

ლართუ — მე დავიფიცე, ვალს გადაგიხდი. შიშს ნუ მაგონებ, არ მე-
შინია. ხევსურიცა ვარ, ადათიც ვიცი. დღემდის მე შიშზე
ლაპარაკი არა მსმენია.

თურქია — თუ ბოდიშს ითხოვ, თავს დაგანებებ!

ლართუ — ბოდიში და მე, გატყობ შეშინდი! ხევსურს ბოდიში არ გა-
მეგება. ბარში გასწავლეს? თავში ჩაგარტყან ბოდიშს მოი-
ხდი? საბოდიშო და სამუდარო მე არა მაქვს რა, ბავშვი არა
ვარ.

თურქია — კმარა, დავიწყოთ!

ლართუ — მე მზად გახლავარ.

(იძრობენ ხმლებს და ფარიკაობენ.)

თურქია — ინანებ კიდევ

ლართუ — შენ ვერ მანანებ, ლაშარის ჯვარი და ჩემი მკლავი მე დამი-
ფარავს!

თურქია — მაგასაც ვნახავთ.

(ამ ფარიკაობით მიუახლოვდებიან ზაირას მიერ გაშლილ სუფრას)

ლართუ — ზაირას სუფრას ფეხს არ დავადგამ.

(ლართუს უნდა ასცდეს ზაირას სუფრას და ხმალს დაუშვებს.
თურქია დროს იშოვის და დასჭრის)

თურქია — აჰა, ინებე! გეუბნებოდი.

ლართუ — ლაშარი მდევდა, მკლავმა მიმუხთლა. სადაც პირველი სი-
ყვარული ვიხილე, სიკვდილსაც იქ შევეყრები. ჩემო ზაირა,
პატარა შადურ!

თურქია — მე ხომ გითხარი, ინანებ მეთქი.

ლართუ — ვერ გამომტეხამ, ჩემსა სინანულს, ვერ მოისმენენ შენი ყუ-
რები!

ჩემი ოჯახი!... ზაირა... შადურ...

(დაეცემა და მოკვდება.)

თურქია — ესეც შენ! ყვავ ყორნისა გაგხადე. ეხლა გავსწორდით. შენ
სიკვდილი გხვდა, ვერას გაიგებ, მე კი სიცოცხლე, სიცოცხ-
ლე უზაიროთ (მწარედ ჩაიციინებს) როგორ გგონია ლართუ,



შენ სისხლს ვინ აიღებს, ზაირა თუ შენი სიმამრი რომელი? საც ფეხები ძლივს დააქვს? ან იქნებ შენი ღლაპი შადური (ხა-ხა-ხა) სისხლი ავიღე, არ შეგარჩინე, ზაირას წართმევა არ დაგივიწყე. მეც იქნებ შენზე ბედნიერი ვყოფილიყავ. წამართვი საუნჯე, გული დამიკოდე, ვაჟაი გამაღიაცე! აი შენი საქციელის ფასი — ინებე, სიკვდილით გადაგიხადე! აქ მოსვენება წამართვი, ვაჟაი მკვლელი გამხადე.. დღეიდან შენი სახლ-კარი გაყინული მიწა იქნება. ვერც ზაირასა ჩაიკრავ, და ვერც შადურით დასტკბები.
(გადის.)

(ამ დროს მეცხვარეები შემოდინან.)

1-ლი მეცხვარე — ვაჟაუ, ლართუს დასძინებია!

2-რე მეცხვარე — ლართუ შენსავით ზარმაცი არ არის, იქნებ გულს შემოეყარა?

(დაინახავენ რომ მკვდარია)

თურქიას მოუკლავს!

საწყალ! ლართუ! (ხელებს შეახებს.)

გვიანდაა, ვერას ვუშველით.

მე გავიქცევი, სოფელს ვაცნობებ.

2-რე — წადი და ხევის თავიც ამოიყვანე, ზაირას ფრთხილად შეატყობინე.

1-ლი — (გავარდება ყვირილით) ლართუ მოუკლავთ, ხალხ...ო!

2-რე შე უბედურო, თურქიამ როგორ დაგჯაბნა? ალბათ ბედათ ეგ გეწერა! საწყალი ზაირა, რა მებრალების.

(ხალხი ნელა შემოდის, ქუდებს იხდიან.)

ხევის თავი — თურქია შემხვდა, მითხრა რომ სისხლი აიღო. (ლართუს) შე საბრალო, რა მოგივიდა. (შემოვარდება ზაირა, შემდეგ პაპა შადური)

ზაირა — გამიშვით, ხალხნო, მაჩვენეთ ჩემი ლართუ. (დაეცემა მკვდარზე და სტირის)

შადურ — შვილო, ლართუ! (ზაირას გვერდზე იჩოქებს.) სისხლს ვინ გადაგიხდის, მე მოხუცი ვარ, შადურ პატარა, ზაირა დედაკაცია!

ზაირა — ჩემო თვალის სინათლე, ლართუ, მიმუხთლეს განა!

(ნელ ნელა წამოდგება ზეზე.)

ხალხნო იყუჩეთ, ყური დამიგდეთ. ჩვენისა წესით სისხლს არ შევირჩინთ, მე გავზრდი შადურს, სისხლს მოვაგონებ. უსისხლოთ ლართუს არ დავივიწყებ, თუნდ სიცოცხლითაც რომ შევეწირო. ლართუს გვამს ვფიცავ, არ დავივიწყებ! (ხალხს მიუბრუნდება) ხუთ წელიწადში პასუხს გაიგებთ. სიხარული და ბედი დავკარგე, ხალხნო მისმინეთ და

შემიბრალეთ... (ეცემა ხელმეორედ გვამზე გულწასული).
ხევის თავი — საბრალო ხარ და უბედური.

სურათი მე-2 რე.

მეჩანგურე ბებერი ისევ ფარდის წინ არის. ბავშვები ყურს უგდებენ.

მეჩანგურე — აი, დიახაც, ჩემო მსმენელებო, ყურ კარგა მიგდეთ! ლართუს სიკვდილის შემდეგ, დრო გადის. სოფელი ზაირას და პატარა შადურს ანუგეშებს. მიწასაც უხნავს, ცხორსაც უძოვებს, პატარა შადურიც დღითი დღე იზრდებოდა. ჩენი წესი თქვენც კარგად იცით. თუ ხუთ წელიწადში სისხლი არ აიღე, მერე სისხლი გაუქმდება და მოკლულის ქონებაც სოფელს რჩება. მაგრამ თუ ოჯახის წევრი რომელსაც სისხლის აღება არ შეუძლია, საჯაროთ თავს მოიკლავს, ხუთი წელიწადი კიდევ ემატება და სისხლი გრძელდება. პაპა შადურიც ღმერთს იმასლა ევედრებოდა, რომ როგორმე ხუთი წელი კიდევ იცოცხლოს, რადგან მოხუცი იყო და სისხლს ვერ აიღებდა. ღმერთმა მისი ხვეწნაც ისმინა. ხუთი წლის თავი თავს წამოადგათ. სოფელმა თავი მოიყარა და პასუხს ელის. პაპა შადური, როგორც ხევსური, კარს გამოვიდა. ზაირა და შადურ უკან მისდევდნენ. ხალხის წინაშე, ზაირა და პატარა შადური ხევის თავს ჩააბარა, დალოცა, სისხლის აღება ხელმეორეთ მოაგონა და თავი მოიკლა. ხალხმა იცოდა თუ შადური რას აკეთებდა. შადური ყველას ებრალებოდა, მაგრამ ადათი სიბრაულეზე მკაცრი და შეუბრალეებელია. ჰო და, აი, ეხლა მეორე ხუთმა წელმა განვლო. წყეულმა თურქიამ ცოლიც შეირთო, ბლარტებიც დააჩინა. მაგრამ სოფელი ზაირას უფრო მეტ პატივს სცემდა, თურქიას კი კაცად არ აგდებდა. თურქია ღმერთმა დასაჯა: ცოლი მოუკვდა, ბავშვები დაეხოცა, ერთი პატარა გოგო და დარჩა. პატარა შადური თერთმეტი წლისა გახდა. პატარა იყო, სისხლს ვერ აიღებდა, ერთი მსხვერპლი კიდევ ესაჭიროებოდა. ეს ზაირამაც კარგა იცოდა და სიკვდილისთვის ემზადებოდა. შადური ლართუს ემსგავსებოდა, მართლა რომ ბიჭა ღვებოდა, დროზე მტრის დედას აატირებდა.

ზაირა კი მართლა რომ ხევსურის ქალი არს, დღითი დღემდინ სისხლს არ ავიწყებდა პატარა შადურს. მეორე ხუთმა წელმა განვლო და...

(ფარდა ნელა იხდება. ზაირას ქოხის წინ პატარა ბიჭები თამაშობენ. ორს მათგან ჩხუბი მოუვა. შადური აშველებს, უმფროსს სტუქსავს.)

- შადური** — პატარაის სჩაგრი შე მგლისაუ!
- ბიჭი** — შენი საქმე არ არის, შენ საქმეს მიხედიდე..
- შადური** — პატარაის არ დაგაჩაგრინებ, პატარა ცოდო არს.
- ბიჭი** — დიდაიც თურქიაა, აბა წა და გაუმკლავდი! შენი მამაის და პა-
პაის სისხლი კარ წინა გიგდიათ, ვერ გადაგიხდიათ!
- შადურ** — შე წუნკლავ, მაგასაც მოესწრები, სისხლსაც ავიღებ. მე ყო-
ჩალი ვარ, მამა ლართუს დავემგზავსები, მტერს სისხლს არ
შევარჩენ, დედაი არ მომიკვდების! (პირჯვარს იწერს)
ეზოში ხევის თავი შემოდის და შადურს დაუძახებს. ბიჭები ხევის
თავის დანახვაზე ქუდებს მოიხდიან და ჩუმ ჩუმად გადიან.
- ხევის თავი** — დედაის დამიძახებდე.
(ბიჭი შევარდება დედის დასაძახებლად.)
მძიმე ვალი მაქვს, მძიმე!
(გამოდის ზაირა, ხანში შესვლა ეტყობა. შავები აცვია.)
- ზაირა** — ლაშარის ჯვარი შეგეწიოს, მამაო!
- ხევის თავი** — დაგლოცოს მის ძლიერებამ, შვილო. ზაირა, როგორ გი-
კითხო ცხორით და შადურით? ხომ კარგა გნახეთ!
- ზაირა** — თქვენი წყალობით, მამაო
- ხევის თავი** — შვილო ზაირა, ძნელ არს აქ ჩემი მოსვლა, საბაბი მძიმე
მაქვს.
- ზაირა** — მივხვდი, მამაო.
- ხევის თავი** — მამა შადურის და ლართუს სამოთხეს საცხონებლად და
სისხლის გასაგრძელებლად ხომ იცი შვილო რაც გმართებს?
- ზაირა** — ვიცი, მამაო,
- ხევის თავი** — მაშ ეგრე შვილო, ვადა დღესა გაქვს. შენ ლართუს შეუ-
ერთდები, ბედნიერი იქნებით. შადურის დარდი შენ ნუ გე-
ქნება, მე მოუვლი. სალამო ხანამდის დრო გაქვს ბავშვს გა-
მოეთხოვებოდე.
- ზაირა** — (გულჩაკლული) მესმის, მამაო.
(ხევის თავი პირჯვარს გადასწერს და გადის. ზაირა გაყუჩებული
დგას. შადური მიუახლოვდება, ზაირა გულს მიიხუტებს და იქვე
დასხდებიან)
- ზაირა** — შვილო, შადურ, მე შორს მივდივარ.. კარგა მიგდე ყური გე-
ნაცვალოს შენი დედაი! ხომ გახსოვს, შვილო, თურქიაზე
ყოველ დღე გელაპარაკებოდი. თურქიამ ჩვენი ოჯახი ამო-
წყვიტა, გაანიავა. ეს კარგათ გახსომს? არ დაივიწყო. მე კი
შორს უნდა წავიდე... მარტო!
- შადურ** — დედავ, მარტო რად მტოვებ?
- ზაირა** — დედაი გენაცვალოს, მარტო რაით იქნები, ხევის თავი კარგა
მოგივლის. მხოლოდ ჩემო შვილო, ბევრს ნუ იცელქებ, ჭკვე-
იანად იყავ, ხალხი გიყვარდეს, პატივი ეცი, დედ-მამას მოი-

გონებდე, სისხლი არ დაივიწყო, შენ დიდი ბიჭაი ხარ, რაც უნდა გითხრა შენ დაიხსომებ?

შადურ — ჩემო დედილო, ნუ დამტოვებ, თან წამიყვანე. არ გაგაჯავრებ..

ზაირა — არა შეილო, შენ აქ დარჩები. შენ ვალს მერე უფრო გაიგებ. ეხლა წა, ცოტა ითამაშე...

(შადური დაღონებული გადის)

დედა მოგიკვდა, ჩემო ნუგეშო, ობოლო, აოხრებულო! ვილა მოგივლის, მოგიალერსებს, ვილა მოგეფერება! მუხლს რომ გაიტეხ — ვილას შესჩივლებ, ვინ დაგამშვიდებს, ცრემლს ვინ შეგიშრობს... ჩემო პატარავ, შემოგველოს შენი უბედური დედა! ჰოი, თურქიავ, ღმერთი გსჯის! ცოლი მოგიკვდა, ბავშვები დაგეხოცა, ერთი პატარა გოგო და დაგრჩა, როგორ დაგიწყევლო, მეშინია, ღმერთთან უნდა წავდგე, ჩემ შადურს დამისჯის. არა ბავშვის დაწყევლა რა შუაშია, ისევ შენ დაგწყევლი. საყვარელი ლართუ მომიკალი, საყვარელ მამას თავი მოაკვლევინე... ამბობ, ჩემ სიყვარულისათვის ჩაიღინე! თუ გიყვარდი რად გამაუბედურე, ჩემ პირმშო პატარა ნუგეშს მარტო რად მატოვინებ?! დღე დადგება თურქიავ შენი აღსასრულის. მე რა, მე ლართუს სამოთხეში შეუერთდები, შენ კი ჩემი შადური ჯოჯოხეთს გაგგზავნის. ამას მოელოდე, ღმერთი მოწყალე არის, ჩვენი შადური სისხლს აიღებს და სამუდამოთ დაგვამშვიდებს.

(შადური შემოეპარება, უკნიდან ეხვევა, იცინის.)

შადურ — დედაუ ნება მომეცი მეც შენთან დავრჩე. იცი, გული რაღაცას მეუბნება. სულ შნთან ყოფნა მინდა. თავის დღში შენთან ყოფნა ესე არ მომნატრებია.

ზაირა — მო, შეილო, მეც მინდა მოგიალერსო, სახე დაგიკოცნო. უკანასკნელად შენი ყურებით დავსტკბე, გამოგემშვიდობო.

შადურ — არ მინდა დედა, ნუ გამომემშვიდობებები!

ზაირა — არც მე მინდა, შეილო, მაგრამ მამა ლართუს უნდა შეეხვდე. დიდი რომ გაიზრდები, უფრო კარგა გაიგებ რომ ასე უნდა ყოფილიყო.

(იკრავს გულში შადურს და ორთავე სდუმს. ნელი ზარის ხმა გაისმის. ნელნელა ზაირას ეზოში ხალხი შემოდის. ქუდებს იხდიან, ზაირას სალამს აძლევენ. ზაირაც ყველას თავის დაკვრით აძლევს სალამს. შემოდის ხევის თავი ჯვარით. ყველა ქუდს იხდის და პირჯვარს იწერს.)

ხევის თავი — შეგეწიოთ ლაშარის ჯვარი!

ხალხი — მადლობთ მამაო.

(ხევი თავი მიმართავს ზაირას)

ხევის თავი — მზადა ხარ, შეილო, საზიარებლად?



- ზაირა** — მზად ვარ, მამაო.
- ხევის თავი** — გაკუროთხოს ღმერთმა სამოთხისაკენ, ლართუს და შადურს იქ შეგახვედროს!
- ხალხი** — ამინ, წყალობით!
- ზაირა** — ხევის მამაო, შადურს გაბარებ.
- ხევის თავი** — ავიყვან შვილო და ფიცსაც გაძლევ ჯვარის და ხალხის წინაშე ვალს არ დავავიწყებ, ალერს არ დავაკლებ, როგორც ჩემს ერთას ისე მოუვლი.
- ზაირა** — (ხალხს მიმართავს) უმშობლობას ნუ აგრძნობინებთ.
- 1-ლი მამაკაცი** — ვაჟკაცებიდან, ჩემო ზაირა, მამათ და ძმებათ გარდა ვექცევით.
- 1-ლი ქალი** — ქალებიდან კი ჩემო ზაირავ მაგისი და, და დედა ვიქნებით.
- ხევის თავი** — თვით სოფელი გაძლევს ჩემო შვილო, ფიცს.
- ზაირა** — ხალხნო, გმადლობთ ჩემ ობლისათვის, ჩემ გაციებულ გვამებისათვის.
- (ხევის თავი ზაირას ხანჯალს აწოდებს, პატარა შადურს ხელს მოჰკიდებს და გვერდზე მიდგება)
- ხევის თავი** — გამხნევედი შვილო!
- ზაირა** — ხალხნო მისმინეთ. ათი წლის წინად ფიცი დაგიდეთ, რომ სისხლს გავაგრძელებდი, თუნდა სიცოცხლითაც შევწირულიყავ. დღეს დამიდგა აღსასრულის დღე, სისხლს ვაგრძელებ. ჩემს პატარა შადურს უთმობ გზას. ჩემი სახლის ნამუსი თქვენზედ შევაგდე. ჩემს შადურს მოუვლიდეთ და სისხლს არ დაავიწყებდეთ. სისხლი აილოს, ჩვენი გაციებულნი გვამები დაამშვიდოს. ლაშარის ჯვარზე შემომფიცეთ!
- ხალხი** — ვფიცავთ ლაშარსა არ დავივიწყებთ!
- ზაირა** — მშვიდობით ხალხო, მადლობელი ვარ!
- (ასწევს ხანჯალს თავის მოსაკლავად. ამ დროს თურქია გამოჩნდება თავისი პატარა გოგოთი)
- თურქია** — ზაირა, შესდექ, ორ სიტყვას გეტყვი და მერე იყვეს ნება შენი, სისხლი განაგრძე.
- (ხალხი გზას აძლევს თურქიას ბავშვით.)
- თურქია** — ჩემო ზაირა, ყური დამიგდე, მინდა ვსთქვა რამე.
- ზაირა** — (მკაცრად და მედიდურათ) შენი ზაირა არცა ვყოფილვარ და არც ვიქნები. წყეულიმც იყავ!
- თურქია** — (მწარედ ჩაიციინებს) წყეულიმცა ვარ! ღმერთმა დამწყევლა, ოჯახიც გამინადგურა. ცოლი მომიკვდა, ბავშვები დამეხოცა. ეს ერთი შემრჩა. ლართუს სიკვდილისათვის ღმერთმან დამსაჯა.
- ზაირავ, ყურ კარგა მიგდე, ერთ რამეს გეტყვი. შენ ქალი ხარ ხევსურული, ექვი არ შემდის. სისხლსაც განაგრ

ძობ. დამიჯერე, ჩემს ცოლ-შვილის სიკვდილის შემდეგ ლართუ და შადური ყოველ დღე მელანდების, სინდისი აღარ მასვენებს. არ იფიქრო რომ სინდისი აღარ შემრჩენოდეს. ჩემო ზაირავ სისხლი შევწყვიტოთ. მე წარუდგები ლართუს და შადურს, იმათ გამსაჯონ.

შენ აქ შენი შადური გაზარდე და თუ ჩემს ელისოს შეიბრალებ და ობოლს აიყვან, იქ, სადაც კი არ ვიყვე, ჯოჯოხეთს თუ სამოთხეში, ყოველთვის ჩემ ლოცვა კურთხევას არ დაგაკლებ. შეგვიბრალე ორთავენი, ჩემო ზაირა. (ელისოს მიიყვანს და ზაირას რომ ხანჯალი უჭირავს, ზაირასავე ხელით გულში ჩაიცემს.)

შენი ხელით ვკვდები ჩემო ზაირა. ლართუს სისხლი გადახდილი გაქვს. ჩემს ობოლს მოუარებდე. (კვდება.)

ხალხი იჩოქებს გარდა ზაირასი და ბავშვების, რომელნიც აქეთ იქით ჰყავს ხელ გადახვეული.

ხმვის თავი — აპატიე შვილო, ზაირავ!

ზაირა — ბავშვსაც მოუვლი შე უბედურო, ღმერთი თუ გიპატიებს, მეც მიპატიებიხარ.


(მერე თითონაც იჩოქებს და ბავშვებსაც აჩოქებს)

დასასრული

ზ. ციციშვილი

შოთა რუსთაველის იუბილე საქართველოში

დიდებული ქართველი პოეტის და მოაზროვნის შოთა რუსთაველის იუბილე საქართველომ დიდის ბრწყინვალეობით იდღესასწაულა. ზეიმი გაგრძელდა ათ დღეს. ზეიმში მონაწილეობა მიიღო მთელმა ერმა. არ დარჩენილა საქართველოს არც ერთი კუთხე, რომელსაც უკვდავი პოეტის ხსოვნა რამენაირად არ აღენიშნოს. თუ საბჭოთა გაზეთებს დაუჯერებთ, რუსთაველის იუბილე იზეიმა საბჭოთა კავშირის ყველა თერთმეტმა რესპუბლიკამ. მაგრამ, რა თქმა უნდა, მთავარი ზეიმის ადგილი, მაინც ტფილისი იყო. ამ დღეებში საქართველოს დედა ქალაქში შეიკრიბა საბჭოთა კავშირის მწერლების მორიგი პლენუმი, შოთა რუსთაველის ხსოვნისადმი მიძღვნილი. ქართველი პოეტის იუბილე რუსეთის მიერ დაპყრობილ ერების დიდ თავშეყრილობად იქცა. ტფილისში ჩამოვიდა ყველა ამ ერის წარმომადგენელი. მათ შორის ორმოცამდე მწერალი მაინც — რუსთაველის უკვდავი პოემის სხვა და სხვა ენაზედ მთარგმნელი და ყველა მათ საქართველო



დიდის სიყვარულით და მადლობით შეხვდა. გაიმართა საზეიმო აქტები: პლენუმის კრებებზედ, ტფილისის უნივერსიტეტში, შოთა რუსთაველის ინსტიტუტში, აკად. ნიკო მარის სახელობის ინსტიტუტში, მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალში და სხვა სამეცნიერო და საჯარო დაწესებულებებში. საქართველოს მუზეუმმა მოაწყო „შოთა რუსთაველის და მისი ეპოქის“ დიდი გამოფენა, საქართველოს წარსულის მცოდნეთა ეს ნამდვილი შედეგრი და ამ იუბილეს ჭეშმარიტი მშვენიება. წაკითხულ იქმნა მრავალი მოხსენება, წარმოთქმულ იქმნა მრავალი სიტყვა, დაბეჭდილი იყო მრავალი წერილი. გაიმართა სადღესასწაულო წარმოდგენები და კონცერტები და ამ დღეებში,

„მსოფლიოს ერთი მეექვსედი“, როგორც უწოდებენ რუსეთს, ყველა იქ შემავალ ერთ — რუსთაველზე ლაპარაკობდა.

არავითარი შესაძლებლობა არ არსებობს, რომ ქართველ ემიგრანტ მკითხველს, ჩვენი ჟურნალის ჩარჩოებში, ამ მღელვარე ზეიმის თუნდა მკრთალი სურათი წარმოუდგინოთ. იქ, საქართველოში, კეს ზეიმი იყო ქართული სულის ჭეშმარიტი დღესასწაული, აქ ემიგრაციაში, იგი ჩვენთვის დიდი ნუგეში იქნება, რომ რუსეთის მძიმე კირთების ქვეშ, ეს სული — უკვდავი და მებრძოლი, ისევ ფეთქს და ისევ ცოცხალია. იძულებული ვართ, მრავალთაგან, მხოლოდ მცირედი ცნობანი გადმოვბეჭდოთ გაზეთ „კომუნისტი“ დგან და მით დავაკმაყოფილოთ ქართველი გადმოხვეწილების ცნობის მოყვარეობა, რომელიც იმ დღეებში თავის მშობელ ერთან და რუსთაველთან ერთად იყო.

შოთა რუსთაველის იუბილესადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია

22 დეკემბერს, საღამოს 7 საათზე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიხსნა გენიალური ქართველი პოეტის შოთა რუსთაველის იუბილესადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია.

სესია მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა უნივერსიტეტის რექტორმა დოც. გ. კიკნაძემ.

საპატიო და საქმიანი პრეზიდენტის არჩეის შემდეგ სესიის პირველ სხდომაზე რუსთაველოლოგმა პროფ. კ. კეკელიძემ წაიკითხა მოხსენება „რუსთაველის ეპოქა“. მომხსენებელი ვრცლად შეეხო რუსთაველის ეპოქის კულტურულ ვითარებას. დაახასიათა ის ორი მთავარი კულტურული ნაკადი (დასავლურ - ბიზანტიური და აღმოსავლურ - ირანული), რომელიც ჰკვებავდა ქართულ კულტურულ სინამდვილეს რუსთაველის ეპოქაში. აღნიშნა აგრეთვე ის წვლილიც, რომელიც მაშინდელმა საქართველომ შეიტანა საკაცობრიო კულტურის საღაროში.

რუსთაველსა და მის „ვეფხისტყაოსანზე“ ვრცელი მოხსენება წაიკითხა პროფ. ი. აბულაძემ, რომელმაც წარმოადგინა „ვეფხისტყაოსანის“

ოსნის“ მხატვრულ ლიტერატურული დახასიათება, ილაპარაკა რუსთაველზე, როგორც აფორიზმებშია და მხატვრული მეტაფორების უდიდეს ოსტატზე.

პროფ. შ. ნუცუბიძემ ფართოდ გაარკვია რუსთაველის მსოფლმხედველობა. მან რუსთაველის მსოფლმხედველობა დაუკავშირა იოანე პეტრიწონელის ფილოსოფიურ აზროვნებას. მისი აზრით, რუსთაველი არ გაჰყვა არც ნეოპლატონიზმს და არც აღმოსავლურ სუფიზმს.

საინტერესო მოხსენება წაიკითხა აგრეთვე პროფ. ვუკ. ბერიძემ — „შოთა რუსთაველი პოეტი თეორეტიკოსი“. მომხსენებლის აზრით, გენიალურ მხატვრულ ნაწარმოებთან ერთად შოთა რუსთაველმა მოგვცა პოეზიის თეორიის კარდინალური პრობლემები: პოეტური ნაწარმოების სახეები, ლექსის იდეური განსაზღვრულობა და საზოგადოთ პოეზიის დანიშნულება. მისი აზრით, რუსთაველმა მოგვცა პოეზიის უტილიტარული განსაზღვრა ამ სიტყვის სწორი გაგებით.

23 დეკემბერს, სესიის მეორე დღეს, საინტერესო მოხსენება გააკეთა პ. ინგოროყვამ „ვეფხის ტყაოსანზე ადრინდელი ნაწარმოებანი შოთა რუსთაველისა“. მომხსენებელმა ფაქტიურ მასალებზე დაყრდნობით განავითარა ის აზრი, რომ შოთა რუსთაველს „ვეფხის ტყაოსანზე“ ადრე დაწერილი ჰქონია ეპიკური ჟანრის ორი ნაწარმოები: „იოსებ მშვენიერი“ და „ქებანი“. პირველ ნაწარმოებს ფრაგმენტების, „ნარჩომის“ სახით მოუხსნევია მე-16 ტე საუკუნემდის. ამ ნაწარმოებს „იოსებ ზილიხანიაში“ იხსენიებს მე-16 საუკუნის ერთ-ერთი პოეტი. ხოლო რა ბედი ეწვია მეორე ნაწარმოებს, ეს ჯერაც გაურკვეველია.

პროფ. ალ. ბარამიძემ თავის მოხსენებაში „ვეფხის ტყაოსანის“ მთავარი გმირი ტარიელი დაახასიათა როგორც გონიერი, „ბრძნად მოუბარი“, „სიტყვა მჭევრი“ და სრულყოფილი რაინდი.

საინტერესო მოხსენება გააკეთა აგრეთვე დოც. ს. იორდანიშვილმა — „ვეფხის ტყაოსანის“ თარგმანი უცხო ენებზე“. მან გაარკვია „ვეფხის-ტყაოსანის“ ფრანგულ ენაზე პირველ მთარგმნელის ბროსეს, ამავე პოემის პოლონურ ენაზე პროზაული მთარგმნელის კაზიმირ ლაბჩინსკის, გერმანულზე — ლაისტისა და სხვათა მიერ შესრულებული თარგმანების ღირსება ნაკლულოვანებანი.

დოც. ტრ. რუხაძისა და პ. ბერაძის მოხსენებების შემდეგ 23 დეკემბერს, ღამის 11 საათზე, რუსთაველის იუბილესადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია დაიხურა.

აკადემიკოს ნ. მარის სახელობის ინსტიტუტის სამეცნიერო სესია

2 იანვარს, საღამოს ხელოვნების მუშაკთა სახლის დარბაზში დაიწყო ნ. ი. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის სამეცნიერო სესია, მიძღვნილი შოთა რუსთაველის უკვდავი პოემის „ვეფხის ტყაოსანის“ 750 წლის თავისადმი.

პირველი სხდომა გახსნა ინსტიტუტის დირექტორმა პროფ. ს. ნ. ჯანაშიამ.

სესიის პრეზიდიუმში არიან: საქართველოს სს რესპუბლიკის განსახკომი ამხ. ე. ბურჭულაძე, აკადემიკოსები ვ. ვ. სტრუვე, ი. ი. მეშჩანინოვი, მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის თავმჯდომარის მოადგილე პროფ ნ. ი. მუსხელიშვილი, პროფ. ი. ა. ჯავახიშვილი და სხვ.

სესიამ მიიზიდა თბილისის სამეცნიერო საზოგადოებრივობის მრავალრიცხოვანი წარმომადგენლები, უნივერსიტეტის პროფესორები, კულტურის დარგის მუშაკები და მოსწავლე ახალგაზრდობა.


მოხსენებით თემაზე: „რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა“ სესიაზე გამოვიდა პროფ ი. ა. ჯავახიშვილი. საინტერესო მოხსენება შეუწავლია უკრადლობით მოისმინეს, მოხსენებელმა აღნიშნა მატერიალური კულტურის ძირითადი მომენტები, რომლებიც ასახულია პოემაში და დასასრულს გამოსთქვა სურვილი, რომ გენიალური პოემა შესწავლილ იქმნას არა მარტო პოეტიკის მხრით, არამედ, როგორც კულტურის მატერიალური ძეგლიც.

მოხსენებით „ქართული კულტურის უძველესი ფესვების შესახებ ხეთური და ქალღური ეპოქების იმ ძეგლთა მიხედვით, რომლებიც ნაპოვნია საქართველოს ტერიტორიაზე 1936—37 წელს“, გამოვიდა არქეოლოგი, პროფ. ბ. ა. კუფტინი.

სსრ კავშირის ხალხთა ენებზე პოემა „ვეფხის - ტყაოსანის“ მთარგმნელთა დაჯილდოვება

საქართველოს სსრ ცაკის დადგენილებით პოეტები, რომლებმაც სსრ კავშირის ხალხთა ენებზე სთარგმნეს პოემა „ვეფხის ტყაოსანი“, დაჯილდოვებული არიან საქართველოს სსრ ცაკის სიგელებით და ფულადი პრემიებით — 3.000 მანეთით თვითივე დაჯილდოვებული არიან პოემის მთარგმნელი უკრაინულ ენაზე მ. ბაჟანი და პოემის მთარგმნელი რუსულ ენაზე გ. ცაგარელი. საქართველოს სსრ ცაკის სიგელით და ფულად პრემიით 2.000 მანეთის რაოდენობით დაჯილდოვებულია პოეტი ნ. ზაბოლოცკი, რომელმაც „ვეფხის ტყაოსანი“ სთარგმნა და დაამუშავა ახალგაზრდობისათვის რუსულ ენაზე. საქართველოს სსრ ცაკის სიგელებით და ფულადი პრემიით — ათას-ათასი მანეთით დაჯილდოვებული არიან პოემის მთარგმნელები აზერბეიჯანულ ენაზე სამედ ვურგუნი, მამედ რაჰიმი და სულეიმან რუსტამი.

საქართველოს სსრ ცაკის სახელობით მადლობა გამოეცხადა ნ. ზარიანს და გ. სარიანს — გ. ასატურის მიერ „ვეფხის ტყაოსანის“ სომხურ ენაზე შესრულებული თარგმანის რედაქტორებს; კ. ჭიჭინაძეს — პ. პეტრენკოს მიერ რუსულ ენაზე შესრულებული თარგმანის რედაქტორს; ვ. ელსნერს — გ. ცაგარელის მიერ რუსულ ენაზე შესრულებული თარგმანის რედაქტორს.



აღნიშნულია მუშაობა პოეტებისა, რომლებმაც ნაწილობრივად შეასრულეს „ვეფხის ტყაოსნის“ თარგმანი ბელორუსულ ენაზე — ამხ. აგნეც ვეტის, ალექსანდროვიჩის, ბროვკასი, გლებკოსი, გურლოსი, ჟა-ერუკისა, კრაპივასი, უშაკოვისა, ხვედოროვიჩისა, კულეშოვისა, ასპუე-იკისა, ბაშკირულ ენაზე — ამხ. სალიამისა და ბ. ბაქბაისა; თურქულ ენ-აზე: — ამხ. ა. ისხაკოვისა, შ. მანუროვისა, ა. ჯამილოვისა, ფ. ერიკეევ-ისა, ბ. ხუზეევისა; ჩუვაშურ ენაზე — ამხ. ახუნდისა, მ. ტურსუნოვისა, გ. გულიამისა, ხ. რასუნოვისა, ა. უმარისა, გ. სააბისა; ებრაულ ენაზე — ამხ. ფენინბერგისა; აფხაზურ ენაზე — ამხ. დ. გულიასი.

„ვეფხის-ტყაოსნის“ საიუბილეო გამოცემა

სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ გამოსცა შოთა რუ-სთაველის „ვეფხის-ტყაოსანი“. ეს უკვდავი პოემის ერთ-ერთი საუკე-თესო გამოცემაა.

პოემის აკადემიურ გამოცემაში 1669 სტროფია. წიგნს დართული აქვს პავლე ინგოროყვას წერილი „შოთა რუსთაველი და მისი პოემა“ და პროფ. იუსტინე აბულეძის მიერ შედგენილი ლექსიკონი.

წიგნის მხატვრული გაფორმება ყოველგვარი ქების ღირსია. ილუ-სტრაციები შესრულებულია მხატვარ ირაკლი თოიძის მიერ, გარეგანი და შინაგანი მხატვრული გაფორმება ეკუთვნით მხატვრებს ლ. გრიგო-ლიას და ლ. ქუთათელაძეს.

ტირაჟი 10,000 ცალი. წიგნი დაბეჭდილია მშენიერ ქალაქებზე, ჩასმულია ძვირფას ყდაში და ღირს 30 მანეთი.

შოთა რუსთაველის ძეგლი თბილისში

ლენინისა და მოსკოვის ქუჩის კუთხეში, სადაც ბალი იყო, მთავრ-დება შოთა რუსთაველის მონუმენტალური ძეგლის აგება, რომელზე-დაც გამოყენებულია საქართველოს ფერადი ქვები.

მთავარი მისასვლელი კიბე გრანიტისა იქნება, წყაროების თაღები — ბოლნისის ქვისა, ხოლო ტუმბოები, რომელზედაც დაყენებული იქ-ნება ვეფხის ქანდაკება — სადახლოს მარმარილოსი. კვარცხლბეკი გა-ფორმდება სადახლოსი და წნელისის მარმარილოსგან.

1938 წლის დამდეგს კვარცხლბეკზე დადგმული იქნება შოთა რუ-სთაველის თეთრი მარმარილოსაგან გამოკვეთილი ქანდაკება, რომლის სიმაღლე ხუთი მეტრი იქნება.

კვარცხლბეკის ერთ გვერდზე დაიდგება ქვის ქანდაკება, ტარიე-ლისა და ავთანდილის მეგობრობის გამომხატველი, მეორე გვერდზე — ტარიელისა და ნესტანის სიყვარულის გამომსახავი ქანდაკება.

კვარცხლბეკის წინა ფასადზე გამოკვეთილი იქნება მოქანდაკე მე-



რაბიშვილის მიერ შესრულებული ბარელიეფი, რომელიც ასახავს ნესტან-დარეჯანის განთავისუფლებას ქაჯთა ტყვეობიდან.

1938წელს მთლიანად გაუქმდება კოლხიდის ქუჩის დასაწყისი, აიღება ახლო-მახლო პატარა სახლები და ლენინის ქუჩაზე სამსართულიანი სახლის ნაწილი, რომელიც ძეგლის ბაღს ებჯინება. ირგვლივ დაიდგმება ქვის კოლონა ქართული ჩუქურთმებით გაფორმებული. ეზოში მოეწყობა აუზები და გაფორმდება მწვანე ნარგავებით.



მენშევიკების ახალი მარცხი

ქ. სოჭოში მენშევიკებმა მოაწყვეს ისეთივე პოგრომული „მიტინგი, როგორც მათ გამართეს პარიზში, გასული წლის 4 დეკემბერს.

ამ კრების გამო რედაქციამ მიიღო თხუთმეტი პატრიოტი ქართველის მიერ ხელ მოწერილი შემდეგი წერილი:

„1938 წლის 6 თებერვალს შესდგა ქ. სოჭოში და მის მიდამოებში მცხოვრებ ქართველების კრება — ჟურნალ „კავკასიის“ წინააღმდეგ რეზოლუციის გამოსატანად. ჩვენ ყველა აქ მყოფი ეროვნულ ზაზზედ მდგომი ქართველი არ ვიზიარებთ აქ გამოტანილ რეზოლუციას ჟურნალ „კავკასიის“ წინააღმდეგ. ხელს ვაწერთ: დ. ჭიაბრიშვილი, მ. მაკარაშვილი, ს. შაყულაშვილი, მ. ჟღენტო, ზ. აბაშიძე, მ. ბახტაძე, ა. ზედგინიძე, დ. მახარაშვილი, შ. ბერეჟიანი, შ. ზედგინიძე, დ. ახვლედიანი, მ. ნადაშვილი, ს. ჭირაქაძე, ი. ზედგინიძე, ნ. წაწალაშვილი.“ *)

*) თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ქ სოჭოში და მის მიდამოებში, გვეგონია ოცდაათი ქართველის მეტი არა სცხოვრობს, ცხადი გახდება, რომ მენშევიკებს ისეთივე მარცხი დამართნიათ სოჭოში, როგორც ამიერიდგან თავის განთქმულ „პოგრომულ“ მიტინგზედ — პარიზში. აქაც 300—400 ქართველისაგან მათ კრებას მხოლოდ ასი-ოდე კაცი დაესწრო, რომელთაგან სამი მეოთხედი უორდანიას ჯამაგირში მყოფი ხალხი იყო.

რედაქცია.

გენ. გ. კვინიტაძის ასულის ქორწილი

კვირას, 6 თებერვალს, ნაშუადღევს 3 საათზედ, რიუ დარიუს მართლმადიდებელთა ეკლესიაში, პარიზში, საფრანგეთის უცხოელთა ლეგიონის კაპიტანმა გიორგი ოდიშელიძემ ჯვარი დაიწერა ქალბატონ თამარ კვინიტაძეზედ, საქართველოს ჯარების ყოფილ მთავარ-სარდლის გენერალ გ. კვინიტაძის ასულზედ. მოწმეებათ იყვნენ: საქმროს მხრით გენ. თავადი ალ. ერისთავი და პატარძალის მხრით გენ. თავადი სპირიდონ ჭავჭავაძე.


ეკლესია უკვე სავსე იყო მოწვეულებით, როცა, თანახმად ჩვეულებისა, ჯვარის წერაზედ პირველი გამოცხადდა საქმარო. ეკლესიაში იგი მოაცილეს კნ. მარიამ ციციშვილისამ და გენ. თავადმა ალექსანდრე ერისთავმა. საქმროს ეცვა საფრანგეთის ოფიცრის საპარადო ფორმა, საპატიო ლეგიონის ორდენით და სხვა სამხედრო წარჩინების ნიშნებით დამშვენებული. ათი წუთის შემდეგ მამამ შემოიყვანა ეკლესიაში პატარძალიც, თორმეტი მდადის და თორმეტი მაყარის თან-ხლებით. პატარძალს ეცვა თეთრი ლეჩაქის პირბადე და თეთრი აბრეშუმის საგვირგვინო კაბა, რომლის გრძელი ქობა ორ ბავშვს მოჰქონდა. ყველა მდადენი ცისფერში იყვნენ, მაყრები — თეთრის ყვავილებით გაბნეულ სადა შავში.

საქორწილო წესის შესრულების დროს გალობდა ეკლესიის ხორო. სამოციქულო ქართულად წაიკითხა ბ. პ. მოსულიშვილმა, ხოლო ჯვარის დამწერელმა ღვდელმა ნეფე-დედოფალს მგრძნობიერი სიტყვით მიმართა და ბედნიერება უსურვა. ჯვარის წერას დაესწრო პარიზის მთელი ქართველი საზოგადოება და გენ. კვინიტაძის სახლობის მრავალი უცხოელი მეგობარი.

ნაშუადღევს 4 საათზედ, ქალბატონმა მარიამ კვინიტაძისამ თავისი სტუმრები 23, ავენიუ მესსინას სალონებში მიიღო. სტუმართა რიცხვი დიდი იყო. ნეფე-დედოფალი მაყრულით შემოიყვანეს. კარებში მათ დახვდნენ ქალბატონი და გენერალი კვინიტაძენი პურ-მარილით და კნ. მარიამ ციციშვილისა და თავ. ალექსანდრე ერისთავი ხატით. აქ კარებში შესრულებულ იქმნა პატარა ქართული საქორწილო ჩვეულება და რა თქმა უნდა, ეს იყო ჩვენი მამაცი ნეფე, რომელმაც პირველმა გატეხა თეფში.

სტუმრება მიაპოვეს შამპანური, აქი მაყრული, სიმღერა, ცეკვა. მხიარულობა გულწრფელი და ქორწილი გულიანად ქართული.

სალამოს თერთმეტის ნახევარზედ, ქ. შატუში, გენ. გ. კვინიტაძის სახლში გაიმართა პატარა სუფრა, რომელსაც გარს უსხდნენ ნეფე-დედოფალი, მათი მშობლები, გენერლები თავადი ა. ერისთავი და თავადი სპ. ჭავჭავაძე, როგორც ჯვარის წერის მთავარი მოწმენი, მდადენი, მაყრები და გენ. კვინიტაძის სახლობის რამოდენიმე ახლო მეგობარი.



თამადა იყო პოლკოვნიკი სვ. წერეთელი, რომელმაც პირველმა და-
 ლოცა ნეფე-დედოფალი. მასპინძელს, რომელიც თავისი ასულის გვი-
 რგვინის კურთხევას სადა ცივილში დაესწრო, ამ ინტიმურ წრეში ქა-
 რთული სამხედრო ფორმა ეცვა, რამაც დამსწრეთა დიდი აღტაცება
 გამოიწვია.

მიიღება ხელის მოწერა 1938 წლის ჟურნალ

წელიწადი მეორე

წელიწადი მეორე

„ კ ა ვ კ ა ს ი ა “ -ზედ

დამოუკიდებელი ეროვნული აზრის ორგანო

ჟურნალი მიზნად ისახავს კავკასიის უცხო ოკუპაციისაგან
 განთავისუფლებას კავკასიის დამოუკიდებელ სახელმწიფოს
 შექმნას კონფედერაციის საფუძველზედ.

ფიქრობს რა ჟურნალი, რომ კავკასიის პოლიტიკური დამო-
 უკიდებლობის და კულტურულ - ეკონომიური წინსვლის უზ-
 რუნველყოფა შესაძლებელია მხოლოდ ისეთი სახელმწიფოს
 საფუძველზედ, რომელიც დაფუძნებული იქნება ეროვნულ
 სოლიდრობის ნიადაგზედ, იგი გაუწევს მედგარ ბრძოლას ყვე-
 ლა ანტიეროვნულ ძალას და ყველაზედ უწინარეს ინტერნაც-
 იონალიზმსა და მარქსიზმს ბოლშევიკური სახით იქნება იგი გა-
 მოსახული თუ მწმევიკური.

ჟურნალ „კავკასიაში“ 1937 წ. მოათავსეს წერილები შემდეგმა პირებმა:

პროფ. ზ. ავალიშვილიმა, შალვა ამირეჯიბმა, ვლ. ახმეტელმა, აზად-
 ბიმ, ჰასან-ბეგ ალაევმა, ჰაიდარ ბამმატმა, ლენ. შ. ბაქრაძემ, გრ. დი-
 ასამიძემ, იოსებ გვარამაძემ, ალიხან კანტემირმა, კავკასიალიმ, ლენ. გ.
 კვინიტაძემ, დავით ხალირაშვილმა, ექ. გ. ჭაჭიაშვილმა, ზურაბ ციცი-
 შვილმა, სევ. ურუშაძემ და სხვ.

გამოწერის პირობები :

	1 წლით	6 თვით	3 თვით
საფრანგეთში	36 ფრ.	18 ფრ.	9 ფრ.
უცხოეთში	38 ფრ.	19 ფრ.	9 ფრ. 50

რედაქციის მისამართი :

Mr. Joseph Gvaramadzé 73, rue Froidevaut, Paris 14^e.

Le gérant : R. Cornel

Imprimerie de Navarre — 5, rue des Gobelins, Paris (3^e).